

# ლიტერატურული გაზეთი

№17 (321) 16 - 29 სექტემბერი 2022

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



## მანანა ჩიტიშვილი

### თვალისში, შუშანის სამაროვანთან\*

„ქალსა ვისმე ერქო შუშანი“.  
ხალხური

გადაუვლია იმ თოვლს და იმ ქარს,  
თუმც დრო ყველაფერს ვერ შლის და მარხავს,  
იქნებ ეს ლექსი შენს გამო ითქვა,  
ან იქნებ სულაც ის ქალი არ ხარ.

რა მნარედ გეგვო ბედი ორპირი,  
თმენის რა მძიმე თაჯი დაგხურეს,  
არც სადღეოდ გერგო პორფირი,  
არც რიცხვ-უგები ბეჭედ-საყურე.

თუმცა ამბავი, რომ გეტოვებს სახტად,  
მრავალ ასწლეულს კიდევ ეყოფა,  
შენ უკვდავება დაგიდგა ტახტად  
და სიყვარულმა გაგადედოფლა.

ცამ რა ისეთი ეშხი გისართა,  
რა ქმნულკეთილი მადლი მოგფინა,  
რომ მეფეს, „ნაკურთხის ნებით ღვთისათა“,  
ქვეყნად ყოველი დაათმობინა.

უთილისმოდ და ყელზე უშანოდ  
რა გრძნებას ჰფენდი ბარს, თუ იალალს,  
შე ბედნიერო ქალო, შუშანო,  
თვით ძე თამარის რომ გეტრფილა.

აგხსნა კირთება მხველის და მონის,  
თუმც სიტყვას შენზე შხამით ლესავდენს,  
საკურთხეველთან წარსდევით ორნი  
და სიყვარული იყო მესამე.

არც სვეტიცხოვლის ზარები რეკდენს,  
არც ერი მოდგა ტაძარს ნისლივით,  
მხოლოდ თვალისის უბრალო ეკვდერს  
აკრთობდა ქარის ჩუმი სისინი.

მარტოდ...  
გვერდით რომ არავინ ახლდა,  
ანგელოზებრი სახით, აურით,  
მეფე ქართველთა, რანთა და კახთა,  
დგა სიყვარულის დანაშაულით.

ებურა საყდარს ერთგვარი ბუნდი,  
იდუმალ კრთოდა ყველა კუთხე და  
არცრა გალობა ისმოდა გუნდის,  
არც პატრიარქის ლოცვა-კურთხევა.

განა რა სცოდა ასე, უფალო,  
რომ ამნაირი წესით და რიგით,  
ვითა ბოგანო ვინმე უბრალო,  
ესდენ მალულად იფსკვნიდა გვირგვინს.

არ ეგზონ ყვავილთ უთვალავ ფერთა,  
ბედის რჩეულნი უხვად რომ კრეფენ,  
„პატრონი ზღვის“ და „ნათელი ხმელთა“,  
და თანაც „შვიდთა სამეფოს მეფე“.

ბოლომდე გულის და ტახტის ღირსად  
თვინიერ შენდა არვინ ინდომა,  
„გქმნა ცისკრად დღისად,  
მთიებად მზისად,  
ვარსკვლავად ცისად,  
თვით უბინდომან“.

არავი ასე მჩქეფარედ ივლის,  
შენ ვერ უმღერე აკვანს „მზე შინა“,  
ფიქრით გასცქერდი შორეულ თბილისს,  
სად შენს გარეშე შენს ძეს ეძინა.

როგორ წაგმნარდა ყოველი ხემსი,  
რომ ყოფნის სურვილს კარგავდი ქარში,  
მგონია, კვნესა ახლაც კი გესმის,  
მკერდიდან უღვთოდ მოკვეთილ ბავშვის.

რაიც განსცადე, ვიცი და ვხედავ,  
ლამეს მტევნებად ცრემლი შეჰკიდევ...  
შუშანო, შენში ტიროდა დედა  
შვილსა და არა — ტახტის მემკვიდრეს.

გამოგარჩია მაინც უფალმა,  
დარდიც შეგძლვნა და ვარდთა თოვანიც...  
ახლა ბუჩქნარს და ბარდს დაუფარავს  
შენი ჩაშლილი სამაროვანი.

ბოდავის ტყეში ოლოლი კვნესენ,  
მათი ხმის ჯადოს ვერ ვეურჩები...  
ამოუნუნნავთ შინდების ფესვებს  
ფეროვანება შენი ტურჩების.

დგას შემოდგომის სალამო მშვიდი,  
ოლოლთა სევდას ვერარა ვარგე...  
ჰგავს ძონისფერი ნაყოფი შინდის  
ლაშა-გიორგის დაკოცნილ ბავს.

ფიქრით იმ წარსულს ჩავენაცვლები,  
თითქოს ამ დროში ველარ ვეტევი...  
და მენამული შინდის მარცვლები  
თრთიან, ვით შენი ძუძუს კერტები.

მეფემ, ყოვლი რომ შენთვის ენება,  
არ სცნა დარბაზის კიცხვა-ფეთება  
და დღემდე მისი კუთვნი მშვენება  
სხვათა თვალისთვის არ მემეტება.

მაგრამ აქ მოსვლა ვის დავუშალო,  
თუნდა კაცთაგანს, ან — მზეს, ან — მთვარეს,  
უცხოთ ფეხის ხმა მესმა, შუშანო,  
და ტოტებს ცისფერ მანდილს ვაფარებ.

ბინდი ჟალეთის მიდამოს ავსებს  
და შარახეზე მოცურავს ნისლი,  
არ ვიცი, ქარი ხმაურობს ასე,  
თუ ცხენის ფლოქვთა თქარუნის იმისი.

ვინ მოიჩქარის მცხეთის გზით მარტო,  
ვინ მოაგელვებს ბედაურს ფიცხელს...  
შუშანო, ფოთოლთ თრთოლაზე ვატყობ,  
გული რანაირ გითრთის და გიცემს.

ცად თეთრი ღრუბლის იშლება აფრა,  
კრძალვით შენს ფეხით დავედები ლოცვად  
და მთვარის შუქი ეცემა საფლავს,  
ვით უფლისწულის მხურვალე კოცნა.

\*გადმოცემის მიხედვით, ლაშა-გიორგის და მისი საყვარელ ქალს, შუშანს, თვალისის წმ. გიორგის ეკლესიაში ფარულად დაუნერიათ ჯვარი. მოგვიანებით ქალი ამავე ეკლესიის ეზოში დაუკრძალავთ.



## რეზო თაბუკაშვილი

### კარტი თამაშის გოლომდა არ იყრება

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

თიკა პირველად „მარშრუტის“ ფანჯრიდან დაინახა. რეზინის მაღალი მწვანე ბოტები ეცვა და თეთრ სვიტრზე ტყავის სქელი ყილეტი. თავის კარმიდამოსთან იდგა დოინჯშემოყრილი. შეიძლება მოეჩვენა შემდგომში, მაგრამ აშკარად თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს მანქანის ჩაქროლები-ას. თიკა ოდნავ მტრულად იყურებოდა თბილისიდან ჩამოსული ორი „მარშრუტისკენ“. ნაბლისფერი გაშლილი თმა მხრებზე ლამაზად ეყარა, შენიშნა გოგამ. მის უკან ტრაფარეტი იდგა ბეტონში ჩასობილი: „კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება. Welcome. სასტუმრო „ინგილო გოგო“.

მიაღწიეს ლევანის სასტუმრომდე. გადმოლაგდნენ, ბარგიც გადმოიღეს. ივიკო გავარდა საქმის მოსაგვარებლად, ოთახების გასანაწილებლად. სასტუმროს წინ, შემორაგულ ეზოში, აწრიალებული ხალხი დახვდათ. ჯერ ბოლომდე არ დაგვიმთავრებია მშენებლობა, დეტალები კიდევ არის დარჩენილი, იქით ბიაზი გასკდა, აქეთ კანალიზაციამ ბუთქაო თუ რაღაც ამდაგვარი პრობლემები მოიმიზუფეს, და ახლავე დაგაბინავებთ სოფლის სხვადასხვა „გესტჰაუზში“, მოახსენეს ივიკოს. ისიც აფოფინდა და დაიწყო ისევ რეკვა ტელეფონით, თან ხელით ანიშნებდა მგზავრებს, არ შეხვიდეთ, ცოტა მაცადეთ და ყველაფერი რიგზე იქნებაო.

სამსართულიანი, თელავურად მოჩუქურთმებული ხის აივნებიანი სასტუმრო ალაზნის ველს გადაჰყურებდა. კარგ, უღრუბლო ამინდში ალავერდიც მოჩანდა შორით.

VI-VII


## შორენა დოლიძე

\*\*\*

გზააბნეულ ნიაგო,  
სად გადი-გამოდიხარა?  
სულ ფეხაკრეფით გივლია,  
სხვამ რომ მხარლალად იარა.  
ნეტავ ვინ არის, შუალამის  
ჩრდილი რამ ააშრიალა?  
შენ კი არ, იმან იკითხოს,  
მგზავრმა უცხომ და გვიანმა.  
ნიაგო, შე ბედდამწვარო,  
არავს რომ ენექ მკლავზედა,  
არ კი იცოდა, ვინ ჰყავდი,  
რა სხივი ადექ თავზედა.


შენ თავმამკვდარო, ჩემქალო,  
სად გადი-გამოდიხარა?

VIII-IX



ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი



ჯუთა. 2012 წელი. 22 მაისი. წამოწვიმს და ისევე აიკარებს, გაიციროცება, გადაიკრიფება ღრუბელი. გრილა. ცას სინათლის ჭვრიტი დაჰკარგვია...

კაი ხანია, ლადოს ეხში აღარ ვყოფილვარ. მომნატრები შავ ქარაფიდან სოფლის სანახებების თვალის მოვლება...

„ზეთას“ — საზაფხულო ტურისტული ბანაკის — სტუმრებს ველოდები. სტეფან-ნმინდიდან დარეკეს, ცოტა შეგვაგვიანდებაო და მათ მოსვლამდე რა უნდა ვაკეთო! ავდექი, ავიღე მსხვილი ჯოხი და მთრების ხევეს მივაშურე.

მზისპირში ბალახი ამოყოფინებულა; აქა-იქ წვრილი, ფერადი ყვავილებიც ამოჩენილან, ამობზინებულან; შუპყა — წერთხალასაც ამოურღვევიათ გამბალი მინის ზედაპირი და მზის მომლოდინეთ მუქ ფოთლებზე ნამის გრილი გუგუმი დაჰკიდებიათ.

მთრების ხევესი თეთრი ვეშაპვიით ჩანოლილა ზვავის ნამღვი.

ნიმარო ნაკადული კანკალით ჩამორბის ქვალორიან სადინარში და საგაზაფხულო გახელვით ლოკავს ჯვარაც უმწვანლო ლეგა ნაპირებს...

კლდე-კიბირჭიანი ყბელი აღმართი მუხლს ღლის. ზიგზაგებთ სიარულს ვამჯობინებ და ნება-ნება ვუახლოვდები ბუნებრივ სიმაგრეში შეკაფულ ალაგს, სადაც გამუდმებული დევისისა და თვალთვალის სულწრხი თვეებში აფარებდა თავს რეპრესირებული მწერალი ლადო ბალიაური.

სამანელბთან უახლოეს კავშირსა და თანამოაზრეობაში ეჭვიმტანილმა დროულად დატოვა დედაქალაქი. თავდაპირველად შუაფხოს შეეხიზნა, ხოლო შემდეგ, როცა იქ ყოფნაც სარისკო და საშიში გახდა, საქელის უღელტეხილით ჯუთაში გადავიდა, სადაც მისი დები — თარუა და სანდუა — იყვნენ გათხოვილები...

1942 წლის შემოდგომის ღამეებს სოფელში, და-სიძეების ოჯახში, ათევედა. იცისკრებდა თუ არა, ადგებოდა და შავ ქარაფისკენ მიმავალ ბლიკს გაეკიდებოდა. აივლიდა ყანა-ყამირებს, თეთრკლდეთ მომიჯნავე ტიტეულ ქედს და კლდის ვიწრო შიბით მიადგებოდა ერთი კაცის საბრუნად ძლივს საკმარ გამოქვამულს, რომელსაც ჯუთაბეზმა „ლადოს ეხი“ უწოდეს...

წინა წლის თავსმირი ბალახით დაფარულ გვერდალ ფერდობს ჯოხის ბჯენით ააჭრი, მაქაცის ბუჩქებს ფეხქვეშ გაიგებდა და ქუჩზე ხელის ნავლებით მალლიდან წამოყუდებულ კლდის მყუდრო დერეფანში შეაბიჯებდა.

იმგვარი სტრატეგიული ადგილია, სიღრმისკენ ოდნავ დაქანებული მოხერხებული სამალავი, გაღმა მხრიდან ჭოგრიტებითაც რომ გეძებონ, მაინც ვერ გიპოვნიან, იოლად ვერ მოგაგებენ...

აქ, ორბების საფრენსა და არწივების საბოინოში, ბინადრობდა ლადო ბალიაური და ორი-სამი თვის განმავლობაში ფხიზლად ზეზრავდა გზას, რომლითაც სოფელში მისი შეპყრობის მოსურნე შინსახკომის შეიარაღებული რაზმი შეიძლება შემოსულიყო...

ცნობისნადილის აღმძვრელ ამ ადგილს ცხვარსა თუ ნახირი წამყოფი არაერთი ჯუთათლი სწვევია და თავისი ნაკვალევით დაუტოვებია ნყლისფერი სიპის თხელ ფირფიტებზე ამოკანრული ლაკონიური წარწერების სახით.

„უნგრუა. 1968 წ. 19 დეკემბერი“; „აბა. 1964 წ. 14 დეკემბერი. ვმწყემსობ“; „ნათელიზე არაბული ხატოინის ძე. ვმწყემსავ ცხვარს“; „თომა“; „თოთია არაბული. 1975 წ. 3 მარტი. ქარბუქია“; „პეტრე არაბული. ვმწყემსავ ცხვარს. 1963 წ. 23 აპრილი“; „არსენა. 1965 წ.“; „სოსო არაბული. 1973 წ.“; „ლადოს ეხ სადა? კვირია. 2002 წ. 5 აპრილი“.

აქვეა რამდენიმე ანონიმური მინანერი: „კუჭისთავ სძინავ შავ ნისლსა დაფიქრებული სახითა“; „არცრას არ ვმწყემსავ“;

„ხევსურეთია, ძმობილო“; „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“.

დიდი ხანია, ვეძებ და ვაგროვებ საჯიხვეებში, იალაღებზე, სამთო გზა-ბილიკებზე, სათიბებსა თუ მთათა თხემებზე მიმოფანტულ ანალბეგურ წარწერებს და ორ-სამ სიტყვიანი ტექსტების იმ მომცრო კრებული კონტურებიც ცხადღვ წარმომიდგენია, ოდესმე უეჭველად რომ იხილავს დღის მუქს...

აქედან, ლადოს ეხის წინკარიდან, ცოტათი სხვანაირი მოჩანს სამყარო: ჩვეულბრივზე რამდენადმე სუფთა, ამალღებული, მარადისობის ჰეროიკული სულისკვეთებით გასხვიოსნებული.

თვალსაკიდში რიბირაბოდ ილანდება ჯუთის თოვლიან-თქვიანი ჭიუხიც; ჭიუხი, რომელსაც ლეგენდარულ მონადირესთან განუყოფელია მზისხედავს ხალხური და მნივნობრული პოეზია.

ლადოს ეხი შავ ქარაფში — კუთხე და რაკურსი, ჩვეულსა და ტრევიალურსაც არაჩვეულბრივად რომ მოგაჩვენებს.



ზამთარგამოვლილ ჩიორა-ჩიტვით გამბდარი და გალუული ფშვეელი ბერიკაცი შემოდგომის მზით გამთბარ გლუვ ქვაზე ზის და თავის ექვსიოდე ციათეთრ ცხვარს მწყემსავს.

კაიხნის ახლობლებით ვხვდებით და ვესალმებით ერთმანეთს.

ქურთუეის ჯიბიდან ორ პეშე ახალმოკრეფილ ქამა სოკოს იღებს და გვთავაზობს: — გემრიელია ერბოში შემწვარი, წაილეთ და დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი!

ფერწერულ ტილოს ჰგავს ზემოთიანეთის სოფელ ნიკვლიანთკარის უმშვენიერესი, ჯვარაც მწვანე შემოგარენი. საჭურის მხარეს ვერცხლისფრად ბზინავს გუზუმბათის მოტიტვლებულ მთაზე აღმართული რკინის ჯვარი...

90 წლის იოსებ თადიაური თავისი გმირი მოგვარის სახობობდ შექმნილი ხალხური ლექსის განსხვავებულ ვარიანტს გვაწერივებს და თან გვიხსნის, რომელი სიტყვა რას ნიშნავს.

ხობობის (ქისტვი კაცის საკუთარი სახელია) შვიდი შვილი თენებაზე მიუხდება ახლდში გოდერძის ციხეს. „სიმურგვლივ“ შემოუვლიან, თავზე ალს ახვევენ და ქალს გაიტაცებენ. მათურის მიდამოებში, სამტერო გზაზე, „თხისტყვიანის“ ვაჟკაცი შემოხვდება და ამბავს ჰკითხავს. მოძალადეები თავმომწონედ ეუბნებიან, რაც მოხდა. ლაშარის ჯვარის ყმას ბრაზი მოერევა. დამთობი არც ერთი მხარეა და არც მეორე. პირისპირ მდგომნი ხმლებზე გაიკრავენ ხელს. ფშველი თადიაური „ერთის ამლათის ხანზე“ შემუსრავს „მარნივის ნაბუდარზე“ მოზრდილ ქისტებს. ქალს უკან გამოაბრუნებს და მამისახლს მიჰგვრის. „ჩემს ნაქნარ სახელს ნუ იტყვიო“ — სთხოვს და დაძმობაზე ყოფნას სთავაზობს („ვიყენოდე და-ძმობაზედა“...).


„თხისტყვიანი“ თადიაურის (მისი სახელი, სამწუნაროდ, ზეპირსიტყვიერებამ არ შემოგვინახა) ხსოვნა დღემდე ცოცხლობს სიტყვით მდიდარ ავკარგიან საფშველოში. და, აგერ, ის არაორდინარული პიროვნება, ვისთან შესახვედრადაც აქ, ამ სიმაღლეზე ამოვყვით. ბილიკზე მოდის, გვიახლოვდება და ერთი მხემდეც თხდები,

რომ სხვა ვარსკვლავზეა დაბადებული... ხოლო სოფლის სულფონ შესასვლელში, ზედ გზის პირას, იმოდენა მუხა დგას, თავისი ჩრდილით ბარე ას კაცს რომ მოათქმევინებს სულს ზაფხულის ჰაპანაქება სიციხეში.

მუხა — საკულტო ხე და სახიერი სიმბოლო გაუზზარავი სიმტკიცისა და უძლეველობისა!...



106 წლის ხევსური ხუცესი ბენინურ ჯარიას ძე არაბული. ძველი თაობის რჯულისკაცი და ჯვარხატების მსახური. წმინდა ნიგენის ზედმინვენიტ მცოდნე და აქტიური მკითხველი. კმაყოფილია, რომ ამ ზაფხულს კვლავ შეძლო მშობლიურ წმინდალში ასვლა და ათენგენობის საღვთო რიტუალის ჩატარება. ყავარჯენს იარგენებს, თუმცა უმისოდაც არ ერევა ნაბიჯი. ჰყავს 4 შვილი (ერთი ქალიშვილი, სამწუნაროდ, გარდაცვალა), 21 შვილიშვილი და 31 შვილთაშვილი. ყველა ჯანმრთელი და სალხალამათი... და მახსენდება ჟინვალის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ასინეთ შავერდაშვილის საფლავის ქვა, რომელსაც ამშვენებს დაახლოებით ამგვარი შინაარსის ზედწერილი ანუ ეპიტაფია: „ჩემ დედ-მამას 17 შვილი ვყავდით, მე 19 გავეზარდე სამშობლოს, თქვენ?!“



საქართველოში ბევრია სოფელი და, სამწუნაროდ, ნასოფლარიც, რომელთაც ამ ათეული წლების წინათ იქ მცხოვრები თუ სტუმრად მავალი ძვირფასი ადამიანების მხნე ხმები და ღონიერი ნაბიჯები უხდებოდა და აფერიაინებდა.

პირადად მე ასეთი სოფლების რიგსა და სათვალავში ვხედავ შუაფხოს (მის ეტიმოლოგიას ამგვარად ხსნიან: შუა ფხოვი, ესე იგი, ისტორიული ფხოვის შუაგული). გასული საუკუნის შუახანებში რიყის ქვით მკვიდრად ნაგები ეს ორსართულიანი სახლი გახლდათ სახელოვანი და-ძმების —

დედიკა, თინა, ირაკლი და გოგი ოჩიაურების — და მათი ქალაქელი თუ ხევსური მეგობრების საყვარელი საჯანე და მშვიდი თავშესაფარი.

ზაფხულობით, არდადეგების ხალვათ დღეებში, იქ მიუხაროდათ ანა კალანდამეს და ნოდარ ანდლულამეს, გაიოზ შარამძეს და გივი მაჭავარიანს, ქსენია იოსელიანს, ლადო ბალიაურს და გაბრიელ ჯაბუშანურს... მიუხაროდათ, რადგან მთა მაშინ საღად სუნთქავდა, ძველთაძველ წესსა და ადათს იცავდა, ინახავდა და, გარდა ამისა, აქედან ინყებოდა უკანაფშველის საოცნებო მთები და სერები, საცალფეხო ბილიკები და ხევწერილები, ჯვარხატთა კვრივები და პიროფლიან გმირთა სამარეები... ინყებოდა შუერყენელი სამყარო, რომელსაც მალლიდან ვაჟას არნიული მზერა წვედებდა და ევლებოდა... მიუხაროდათ იმიტომაც, რომ შუაფხოში ეგულეობდათ ამადგარი ცოლ-ქმარი, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მასპინძლები — ნათელა ბალიაური და ალექსი ოჩიაური.

იქვე უამკრობდა და სიბერის სუსხს ეურჩებოდა ბერდედა — გიორგათ მამოშვილობის ქალი ლელა ნიკლაური, ლადო ბალიაურის ავკარგიანი დედა, ვისაც ანამ რამდენიმე ბრწყინვალე ლექსი მიუძღვნა, მათ შორის — „რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ...“

ნაროულაზე, ციხეგორსა და ზარისჭალაში მუდმივად ვილაც მიმოდიოდა და ნაავდრალი თუ დაწმენდილი არაგვის ტალღებს ანდობდა პირად ადამიანურ ტკივილსა და გულსთქმას...

ოჩიაურთა კარზე, და მისგან ცოტა მოშორებით, მოხილული საკრალური სინამდვილის შთაგონებით იქმნებოდა „ფშური ციკლის“ სახელწოდებით ცნობილი ანას შედევრები. ოჩიაურთა საოტვიანი სახლის „ბალკონია“ მონმე ხელოვნების საკითხებზე ხშირი კამათისა თუ ფშავ-ხევსურული ხალხური პოეზიის რჩეული ნიმუშების დაგემოვნებით კითხვისა და დეკლამაციისა.

ბერდედას ხასიათის უკეთ გასაცნობად ერთი ასეთი შემთხვევაც გავიხსენოთ: შუაფხოში ნოდარ ანდლულამე მთის მკაცრმა კლიმატმა დასცადა და როცა ხობნოტას ძირის მხარე წვევის დაღვევაზე უარი თქვა, დედობილი ბერდედა ხევსურულად დაემუქრა: „მსავ, თორე ლაშთ მიგიმჯილაგ!..“

ეს იყო კულტურის ლოკალური ცენტრი, სადაც არა მარტო ნანატრ სტუმრებს, ადგილობრივებსაც არაიშვიათად ნახავდით...

და დასდება მძიმე, უანგმოკიდებული ბოქლომი ალექსი ოჩიაურის შუაფხოურ სახლის კარს. აფლტამებულ ეზოში, კიბეებზე და საცეცხლურთან უკაცურობის შემზარავი სიჩქრე ჩამომდგარა.

„დღეს ქორწილია შუაფხოვოსო!“

თითქოს აქ ამგვარი დრო და დარი არც არასდროს ყოფილა! ერთადერთი თეთრახევაა, ძველებურად რომ „მოამსხვრევეს ბროლს“ და გამწენისაგან აქაურობის დარაჯად გამწენესაღი დრო-ფამის სისასტიკესა და დაუნდობლობაზე მოთქვამს...



ჩარგალი. ვაჟას კობტა კარ-მიდამო. აგვისტოს დამლელი, დამდაღველი დღე. ჩარგლურას ურუმარ ჩაყოლებაზე ნიავიც რომ წამოზეხვედებოდა და „ბროლ-მინანქარის კბილით“ გაღვევადა მთების ქათბლს...

იქ, სადაც გულქან რაზიკაშვილი იყო, მისი გზიანი საუბრის მსმენელიც უეჭველად იგულისხმებოდა: არამარტო იერთო, თბილი თვალებით და აღნაგობით ჰგავდა თავის გენიოს მამას, ბუნებითი ნიჭიერებითაც მისი „ნატეხი“ გახლდათ, მისი „ანათალი“ და ალიკვალი!..





### ერეკლე შველიძე

\*\*\*

დრო იწურება თანდათან და ფართოვდება სივრცე. თუმცა ბავშვობა დამთავრდა, მისივე გული გიცემს. დრო სევდით გადაიჟღინთა, ფერი იმატებს ბაცი. თვალზე მომდგარი ჟინჯლითაც მაინც ილიმი კაცი.

დღე სევდითაა მოცული, დღეა უღრანი, ბნელი. დღე არის ღმერთის მოძულე, და როგორც დათვის ბელი ტყეში დედამის დაქეპს, ისე დაქეპს საშველს, რომ მეტად აღარ დაეცე, ტყუილად აღარ დაშვრე.

ნათელი ბნელში ანათებს და ვერ მოიცვა ბნელმა. დრო წვავს წარსულის ბარათებს და მოაქვს ანმყოფ დელგმა. რაც უფრო ბნელა გარშემო, მით უფრო ხედავ ნათელს. თვალზე ცრემლი გაშრება. გიგალობს დილით მართვე.

\*\*\*

მთაში ანათებს ბერის სენაკი. ყველა ცოდვაზე პასუხს შენ აგებ;

მაგრამ ცოდვისგან ახლა ხარ ხსნილი. დგას მონასტერი და მისი მტილი

ყვავის და ხარობს შენი სულივით. საცხად ხარ გრძნობით, ვრცელით, ულევით.

\*\*\*

მე ვემსგავსებ ჯორკოს ნანვიმარს, ბაღს უბავშვებოს, ცარიელს, უნდოს. მე ამოშკორტნა გული არწივმა. მალე ცუნამმა წამილოს უნდა.

მე ვემსგავსები, არ ვიცი, რაღას. ცხოვრების გარეთ მე თითქოს ვრჩები. მე ვზივარ, ვწერ და ვახვენებ ქალაქს და შენ არ ჩანხარ, არა ხარ ჩემი.

\*\*\*

თვითონ უფალი გაძლევს რწმენას, რომ შენ აღდგები. თუმცა თავს რატომ თვლი ამის ღირსად, საკითხავია. ო, შენ არ იცი, ბრწყინვალეობა და ცის თალები და ის ბალები სამოთხისა, როგორ ყვავიან.

შენ დღევანდელ დღეს არსობისა პური იკმარე და დღე მოიტანს ხვალისდელი თავისას თვითონ. და იყოს შენშიც, როგორც ბაღში, სითბო, სინყნარე, თითქოს არა ხარ ქვეყანაზე. არა ხარ ვითომ.

\*\*\*

არ მიგეგია მაგ ტუჩების თუმცა ბანგი, მე რაღაც ძალა, აუხსნელი, შენკენ მიზიდავს. თავისებურად თუმცა ცხოვრება მოვლენებს გრანგის, ერთად ვიქნებით, თუ წერაა, ვიცი, ისედაც.

თქვი რამე კარგი, არ წახვიდე, არ გაიღურსო. არ შემატოვო შემოდგომის ამ ხმელ ფოთლულს. თორემ ისედაც სინამდვილე ცდილობს, მიგვლურსმოს და ჭკნობა ელით ყვავილებსაც შენთვის მორთმულს.

\*\*\*

დაღლილი ისვენებ ლოგინზე. სიჩუმე გულდასმით მოვისმენს, სიჩუმე როცა ხარ თვითონვე, სიჩუმე იდგება, ითოვებს. ისვენებ. ლანდებმა მოგიცვეს. იცხოვრე. ექებე, ითხოვე.

ისვენებ დაღლილი, ისვენებ. გინდოდა, ვერაფრით ისენი. შენგან ხსნა ან რაში უნდოდათ მის თვალებს, მიბნედილით, უნდოთა. გავიდა ხვატი და სიცხენი. ისვენებ, ფერმკრთალად, ბუნდოვნად.

ბუნდოვნად ფიქრები მოდიან. გაძლება ადვილი როდია და სევდა ოთახში დედება. დროება საცეცით გედება და ხმელეთს, მიგდებულს, ცოდვიანს, არ შევლის ცისადმი ვედრება.

\*\*\*

და მთელი ღამე ფიქრობდი გუშინ. და მთელი დღეა, რაც ფიქრობ დღესაც, რომ ცოცხალია ღმერთი შენს გულში. ეტყობა მისი სუნთქვა მზეს, ხესაც.

ის ყვავილივით შენში იზრდება და შენგან ბოროტ განზრახვებს დევნის. და ასე ყოფნა არ მოგებზრდება. გეყოფა, როგორც აქამდე ევნი.

\*\*\*

და, საბოლოოდ, სიკეთეში ჩაიძირები, როგორც შრიალში უღრანი ტყის, ძალიან ღრმამი. მაგრამ, იქამდე, მოგელიან გზები ირიბი. თუმცა სვლას იქითკენ ვერ მოიშლი, აზრია რაშიც;

აზრია სადაც, და სიცხადე სადაც ვლინდება. ცა კრიალდება, და ან, როგორც გამჭვირვალდება წყალი. დაგტოვონ, საბოლოოდ, უნდა ბინდებმა, ორზროვნებამ, და მოიხსნას ყველა ბრალდება.

განთავისუფლდეს სიმძიმისგან სული, სხეული, და ხელის მოსმით დაილენოს ყველა ბორკილი. და დაინმინდოს, გათბეს გული სუსხს შეჩვეული. შვება მოგადგეს, როგორც სიო ტყიდან მოგვრილი.

\*\*\*

პირქუში ნუ იქნები მოღრუბლული ცასავით და სიმართლის მიგნებით გულში ხსნა გააზავე.

თუმც ვინაა მართალი, და არც შენ ხარ, მათ შორის. თევზივით ნუ ფართხალე, ნუ გაქვს შიში დაშრობის

და რწმენაში იარე, რადგან რწმენით მართლდები. გამრთელდება იარა. გელვიძება ჩათვლელილს.

\*\*\*

დღეები ასე გადის. ბავშვებს ხოცავენ ისევ. დღეს სიბოროტე გასდევს. თუმცა მე ქრისტეს მივდე.

ჰაერში ქრება კვამლი და ძირს ცხედრები წვანან, და ეს დღეებიც გავლენ, ჩემო ძვირფასო ანა.

დღეები გადის ასე და ძალადობა გზარავს. აზრი არა აქვს ფრაზეებს. ეს დღეც იძახის, კმარა.

\*\*\*

ჯოჯოხეთი მძვინვარებს და იხსენებ ჩადენილს. ცოდვიანი მდინარე გადაცურე რამდენი.

რამდენი დღე გავიდა, რომ უსმენდი მოლოდინს და იწყებდი თავიდან იმ გზის გავლას ბოლომდე.

მერე სიცარიელე უცებ ისადგურებდა და რამდენი იარე, ნახე განადგურება.

განიცადე დაცემა და ადგომა ისევე. ისევე გაგიტაცებდა შემოდგომის სისველე.

მოლანდებდა ნანახო, გაეღვებავ უცებო. ზღვარი სად გადავლახო, თოვლიანო ქურჩებო.

დემონებად ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ ლანდები. ვერაფერს ვერ ხვდებოდი. გაზაფხულად მთავრდები.

\*\*\*

დღეები ისე გადის და გავაკეთო რაღა. ხანდახან ფიქრი მადევს, რადგანაც ჩემი სხვა ხარ.

ხანდახან ვთვრები ისე, უალკოჰოლოდ, რადგან გახშირებულად მიცემს გულიც. ცხოვრება განდგა.

და ეს დროც მალე გავა. და არ ვიქნებით ერთად. მე უფრო ადრე წავალ. დიდხანს გაცხოვროს ღმერთმა.

მე უფრო ადრე წავალ და გავაკეთო რაღა. და დრო ულმობლად გავა და მაინც ჩემი სხვა ხარ.

\*\*\*

ფიქრი ჩაკეტი გულში, გულით ადიდე ღმერთი. სიცხადეს ხელს ნუ უშლი, იყოს მთლიანი ერთი.

სიცხადეს ხედავ ცხადად, როცა ფხიზლობ და იღწვი. გიახლოვდება ცა და განაგდე ფიქრი ბილნი.

განაგდე ფიქრი ბერნი და ნუ იქნები ხარბი. თავისებურად გკენწლის დრო და ურიდად გარბის.

\*\*\*

ზაფხული მნიფდება. მზეა და ჩრდილები და ვდგავარ წინაშე სიცოცხლის დილემის.

სიცოცხლე არ გაძლევს შანსს, მოკვდე, არ იყო. თუ გინდა, სხეული ხრწნილებამ წაილოს.

მკვდრეთითაც აღგვადგენს ღმერთი და ვიქნებით. თუ ბნელა, იცხოვრე, სინათლის მიგნებით.

ზაფხული მნიფდება. ხეა და ფოთლები. იცხოვრე, იცოდე, არასდროს მოკვდები.

\*\*\*

მე რატომ ვცხოვრობ ასე. ვარსკვლავებია ცაზე.

მე გული სადღაც მიწვეს. მინდა, ჩემს გვერდით იწვე.

უცნაურ გუმანს ვენდე და რა იქნება შემდეგ.

ოცნება მიაქვთ ქარებს. ცარიელია არე.

რადაცა რჩება გულში. გრძნობას ხელს აღარ უშლი.

უკვე ვერაფერს ხვდები. ფანჯრიდან მოჩანს მთები.

სათქმელი ითქვა უკვე. ზიხარ და სასმელს უკვეთ.

საით მიცურავს გემი. ვაინაჰაუზი ემი.

ისმინე. ნიე ცოტაც. აზრი აღარ აქვს მოცდას.

რაც გინდა ქენი ახლა. ქუჩებს ემჩნევთ დაღლა.

\*\*\*

I არ არის მუზა. ეძლევი მოლოდინს. ნუ ნახვალ ნურსად. იფიქრე ბოლომდე.

ნუ ნახვალ. დარჩი. გეველება ნიავი. ცხოვრების შარში ნუხილი მინავლე.

II

ნუხილი აქარვე და თავი გაირთე. დღეს ნურსად განახვენი. დრო გადის, არ ითმენს.

ისედაც დრო გადის. დრო გადის ასედაც. საღამო მოგადგეს. წარსული გახვედა.



### ნუკრი ბერეთელი

#### ქრონიკები

დედის ნაწოლი სანოლივით თბილია მიწა, ლიანდაგს მისდევს ჟანგის ვაგონის წყება და ზოგჯერ ისიც მოგინდება, რელსებთან იწვე, ან რელსებს შორის (შორს, ქალაქში ქარვასლა იწვის), როგორც ამ ლექსის ამ სტრიქონებს... მოვაჭრე ყვება, რომ დაებუგა ოცი ნოხი, ორმოცი ფარდა (საფარდე — ანუ), რომ მერია ჯერ ზარალს ითვლის; რომ დაელუპა ოჯახი და ოჯახის გარდა — ქვეყანაც... დიდი ოჯახია ქვეყანა მისთვის.

სიცხიან დედის სანოლივით ცხელია ქვიშა, ან უფრო მეტად...

უფრო მეტად აქ წყურვილს ვებრძვით. ნუხელ მესიზმრა, წყალს მიჰქონდა ის ოქროს ვერძი და სვეტიცხოველს უფლის კვართი კაცივით ეცვა. აქ სხვანაირი თვალეები აქვთ ბავშვებს და ქალებს, აქ სხვანაირი ქარებია. ოჯახის ვალებს გავისტუმრებ და გავიხურავ უდაბნოს ჭიშკარს. ვარსკვლავებით ამჩნევია ჰელმანდის ზეცას ნატყვიარები. სხვა რა? ვცხოვრობთ, სხვა არა გვიშავს.

გარდაცვლილ დედის სანოლივით ცივია მიწა. მამა ეძახის აზმუფლებულ ორი წლის მოზვერს, ბებერ კოპიტზე მიაყუდებს სამთითა ფინალს და წელმონყევით ჩამოფდება მიგდებულ მორზე. გადადის ლამე. ჩადგა ქარი. გულაღმა ვწევარ. „ცხოვრება მოჰგავს

ძველი ნავით ტალღებზე რწევას“, — ვიხსენებ სადღაც ამოკითხულს, ოდესღაც, სტრიქონს, თუ სწორად მახსოვს... იქნებ სულაც პირიქით იყოს: ლამდება. ქარი ამოვარდა. გულაღმა ვწევარ.

#### მე ვეღარ დავწერ შენზე

მე ვეღარ დავწერ შენზე, ვერც მარტის სუსხით გათოშილ შენს ფერდაკარგულ ხელზე, ვდგავარ ცხოვრების კალოში, ვბრუნავ და აქეთ მღრნავს. ვერც შენზე ფიქრი დამირბენს... როგორც შუახნის მეძავს, თვალი ფულისკენ გამირბის.

მე ვეღარ დავწერ შენზე: რა გვიყვარდა და რა გვიყვარს, იმ საოცნებო გემზე, ჩვენ რომ ვერასდროს გაგვიყვანს გაგრიდან... ვერ გწერ ახლაც, თვალს ცრემლი როგორ გისველებს, ისე დამალა დაღლა, მკვდარი ზღვასავით ვისვენებ.

მე ვეღარ დავწერ შენზე, ბედი მქონია სამინე! ტყეში დაკარგულ ჰენელს ძმობასაც ვეღარ გაგინვე. როცა ოცნების ტყვე ხარ, მკვდარ სულზეც გადევს ხუნდები — მე ვეღარ, ვეღარ, ვეღარ! მე ვეღარ დავუბრუნდები

მდინარეს. ვეღარ დავწერ შენზე და ვეღარც ვილოცებ. უნდა გულაღმა დავწვე დათვისჯვარსა თუ ილორზე

და დეკის მწვანე ფენილს ჩამავალი მზე ვახატო... მერე გამიწყრეს მთელი სალოცავი და სახატე.

ვდგავარ უფსკრულის პირას და საკუთარ ლემს ჩავცქერი სვავით. შიგნით ყინავს. ვდგავარ და ვგრძნობ, რომ წამსვლელი ყველა წავიდა. ურჩად მელა შემოვრჩი ამ წელს. და ისევ თეთრზე ლურჯად მე მაინც შენზე დავწერ! მე ისევ შენზე დავწერ! მე მხოლოდ შენზე დავწერ!

#### MESOTELIOMA

ესეც შენი „ჩემი ქალაქი“! ხომ გეგონა, დაგიტყებოდა, აივნებიდან გადმოფენდა ლამაზ ფარდაგებს, ვინრო ქუჩებში ჩაგიკრავდა ასე დაბნეულს, ხელს ძმაკაცურად გადაგხვევდა მზემომდგარ მხარზე და გეტყოდა — გამარჯობა, ჩემო კეთილო! ან სატრფოსავით მოგაპყრობდა დაბინდულ მზერას, ჩაიჭრებოდა — სამუდამოდ ჩემთან დარჩიო... ან დაბნეული მოხუცივით, ქუჩაზე რომ გადაიყვანე, მოგაძახებდა ჩატეტკილი, მშრალი ტუჩებით — ჩემი ხნისა მოიყარეო. ახლა უყურებ ამ მთვლემარე, ნაცრისფერ ურჩხულს, მერე რა, თუკი მისი მყრალი ამონასუნთქი ფილტვებს გინვავს და გეგონება, მინდორში იწვე და უყურებდე ყვავილების თვალისგახელას, ისე ცხადად გრძნობ: შენს სხეულშიც როგორ ფუთფუთებს, როგორ თამამად იტოტება სულ სხვა სიცოცხლე... ჰა, ესეც შენი, ამ სიცოცხლით სავეს ქალაქი!

\*\*\*

რადგან გაშფოთებს მომავალი, რომელიც არ ჩანს, რადგან გაშფოთებს გაზაფხული, რომელიც მოდის (ასე იქცევა ნეკერჩხლის ტოტიც), ყური დაუგდე ქარს, რომელიც ხეებში გარჩა, რომელიც აჩვევს მშიერ ჩიტებს ყინვაში ლოდინს. რადგან გაშფოთებს მომავალი, რომელიც არ ჩანს, თვალდახუჭულმა განვაგრძოთ, მოდი:

წარმოიდგინე, რომ აღარ ვარ, დეკემბრის დღეა, მზის სხივს დაეძებ ასწლოვან ხეებს შორის. ქარისგან შეგროვებულ, აფუებულ ფოთლებს მთარვევ ჩიტმა ტოტი მოინაცვლა, მზემ — ღრუბელი. „ყველა ტალღამ და ზვირთმა შენმა ჩემზე გადაიარა“. სად გაქრა ჩვენი სიყვარული?! მოყინული ძახველი მშიერმა ჩიტებმა გაკენკეს. ქუჩის ძაღლებს უნდა მიუყვარო ძვლები, სული მოითქვან.

ზოგჯერ სიტყვები ისე გამოდიან ჩემგან, როგორც ლამურები მუხის ფულუროდან. ზურგსუკან მზე ჩავიდა. მთელი სხეულით ვგრძნობ დასასრულის სიცარიელეს. ახლა ყველაზე მეტად მჭირდება რამე ხელჩასაჭიდი, როგორც სოფლიდან მოღწეული ძაღლების ყეფა. ქარს გაატანე ყველა წყენა, რაც ჩემგან დაგრჩა, წყალს გაატანე სიზმრების წყება. ყურს ნუ ათხოვებ ხეებისკენ მიმავალ ზამთარს, რომელიც აჩვევს მშიერ ჩიტებს ყინვაში ლოდინს. თუ კვლავ გაშფოთებს მომავალი, რომელიც არ ჩანს, თვალდახუჭულმა განვაგრძოთ, მოდი.







### შორენა დოლიძე

#### თინიბეჟაის ციხეს ვზი!

თინიბეჟაის ციხეს ვზი,  
სწორფრისას, ბაცალიგოსა.  
გვერდი ჩაშლია ციხესა,  
წყალი ჩაუდის ლიბოსა,  
მეც, დარდის ბილიკს შავმდგარვარ,  
ბაცი დამყრია სხივები,  
მივლია ნისლის ფარდაგზე,  
ნაშიბზე ვერცხლის სირმებით.  
შენაც გაუძელ, ქვითკირო,  
მოვა დრო, ამოშენდები.  
ჩვენს უბედობას სტირიან  
ალვაზე მსხდარი ქედნები.

თინიბეჟაის ციხეს ვზი,  
სწორფრისას, ბაცალიგოსა.

\*\*\*

სიყვარულს ვისაც ვჩუქნიდი,  
იძან თქვა: ვაჰმე, ქალაო,  
ყორნისფრთისფერი დალალი  
თეთრად რამ ჩამოგშალაო?  
ჩამქრალი წყვილი ვარსკვლავი  
ცრემლად რამ ჩამოგღვარაო?  
ვისაც უყვარდი, რა იქნა,  
ცხრა მთას რამ გადამალაო?

#### ალაზასა და სწორფრის ბასაშობრაჰა...

ალაზა:  
— ემაგ ირიბი ისრითა,  
გულში დამჭერ და ვკვდები!  
სწორფერი:  
— მერე რა, ნუ დაიდარდებ,  
ლექსებში გადარჩები...  
ალაზა:  
— მე ხახმატს ასვლა მენადა,  
სხვა არცრა, დანარჩენი...

\*

ალაზა:  
— დამიხსენ, ჩემო სწორფერო,  
ნინ დევი შამამყრიანო.  
სწორფერი:  
— დევი ეხში გაგიტაცებენ  
და ჯავრსაც ამამყრიანო!  
ალაზა:  
— შენგანაც გამეტებულსა  
ცრემლები ჩამამდიანო.

\*\*\*

ფრთხილად იყავი, ვაჟიკავ,  
გზის იქეთ, ქარაფებია.  
დღე-ღამე სიყვარულობენ,  
მერე ხევებში წვებთან,  
ჩაგიყოლებენ, ჩაგფენენ,  
შენს გვერდით დაეყრებიან.

\*\*\*

როგორ იცის ამღვრევა ქარმა,  
ქარსაც რო ქარ შაუჯდების,  
უგზოო ნანდაურს ღგავის.  
ხარჯიანი დღეა, ალაზავ,  
ცასაც მასკვლავი უჭირს,  
მინდორთ მწვანე ბალახი.  
პირიმზეც, ქარაფის ნაცვლად  
შენს გულში გაშლილა და ჰყვავის,  
თითქო ბედის ქარ უქრის,  
თითქო სულიდან ამაჰქრების.

\*\*\*

თმებს, ამ დანრეტელ მდინარეებს,  
ყელს, შუშის ნამსხვრევს,  
თეძოთა თრთოლვას,  
რადაცნაირ, უცნაურ სურვილს,  
სიღრმეებიდან ამოხეთქვის  
უცნაურ ნდომას,  
მიჰყვები საით?  
სხვაგან არსად გაქვს თავშესაფარი.  
ყველაზე მყარი კედელი ხარ,  
ყველაზე მტკიცე.  
ხანგამომგებით,  
ქარიშხლები ლენავენ ჯებირს,  
მაგრამ სიმტკიცეს  
განსაზღვრავენ მაინც ქარები.  
თვითონვე ტალღავ,  
თვითონ ქარო,  
თვითონ სამყაროვ,  
ასკდები ჯებირს,  
თიხისაგან ნაძერწს და ნაშენს,  
და იცი, ყველა ბრძოლა მაინც  
გულისხმობს საშველს.  
გასვლას საკუთარ ტკივილიდან,  
გასვლას ტანიდან.  
და თმებს, ამ დაცლილ მდინარეებს,  
ყელს, შუშის ნამსხვრევს,  
თეძოთა თრთოლვას,  
რადაცნაირ, უცნაურ სურვილს,  
სიღრმეებიდან ამოხეთქილ  
უცნაურ ნდომას,  
მიჰყვები საით?

\*\*\*

ჩემი სახელია ანანქარი.  
სახლი ავაგე არაფრიდან.  
ცეცხლი გამოვიხმე,  
თეთრი ცეცხლის წითელი ღმერთი.  
გამოვიდა და  
ნამართვა სახელი.  
გამოვიდა და  
ნამართვა სახლი.  
სულის წართმევა უნდოდა.  
ავდექი და დავივიწყე.  
ავდექი და სხვა ღმერთი შევექმენი.  
მუხლი მოვუყარე.  
ვუთხარი ჩემი სახელი.  
მოვიდა და  
შუბლზე მაკოცა ჩემმა ღმერთმა.  
მოვიდა და  
შუქის ნაღება დამიპირა.  
ხელი ავაღე ჩემს ღმერთს.  
ხელი ავაღე და წავედი.  
უდაბნოში ქვიშასავით გამფანტა ქარმა.  
გამოვიხმე ქარიდან ჩემი სული.  
სული ანანქარისა.  
მოვიდა. მკვდარი ვეგონე.  
დავტოვე ისიც.  
მასთან ერთად  
ყველა ღმერთი, რომელიც გამოვიხმე  
ბნელი ღამიდან.  
ლურჯ ზოლზე,  
ჰორიზონტის ლურჯ ზოლზე,  
კვდებოდა წითელი ღმერთი.  
გავხედე:  
ჩემს ღმერთს ვეძებდი.  
ჩერებში გახვეულს.  
ლურჯ ზოლზე,  
ცის დასალიერს, ლურჯ ზოლზე,  
სამი ვარსკვლავი ციაგებდა.  
მურში, ოქროში, საკმეველში.  
და ვთქვი: „აჰა, ჩემი ღმერთი,  
შემოქმედი ცისა და ხმელეთისა“,  
მოვიდა ჩემი ღმერთი,  
მოვიდა,  
მუხლი მომიყარა.  
მუხლი მომიყარა და ღმერთად მაქცია.

\*\*\*

დამძიმდი თავთავო,  
და ალვავე,  
შენ ბერწო საცოლვე,  
ქარს მიჰყევ.  
შიშველი ბელტები  
ღვარძლმა და ჭინჭარმა  
დაფაროს.  
ვაი, რომ მაგ ფშუტე მარცვალში  
არ ისმის სიცოცხლის ცახცახი...  
დამძიმდი თავთავო,  
ნაყოფი მოისხი, ალვის ხევ.

#### სკვლის ნაპირი

საკუთარ თავსაც ვლალატობ მაშინ,  
მიყვარხარ როცა.  
საძილე ნერვიც  
ნაპირთან მიბმულ ბაგირს მაგონებს.  
აკეცავს აფრებს წუხილის ქარი,  
და საიდანღაც მოსული ტალღა  
ჩვენს ნაფეხურებს უკვალოდ წაშლის.

\*\*\*

ვერცხლის სურიდან,  
ვითაშულის  
გრილი ყელიდან,  
ლექსმა — შარბათმა,  
გამოჟონოს დამსკდარ ბაგეზე...

#### პოეტები

კაცი პოეტები.  
ქალი პოეტები.  
უსქესო პოეტები.  
ზე-პოეტები.  
ელიტარული პოეტები.  
ენჯელონიკი პოეტები.  
ჟურნალისტი პოეტები.  
მასწავლებელი პოეტები.  
მქადაგებელი პოეტები.  
მლოცველი პოეტები.  
მაგინებელი პოეტები.  
განმკითხველნი.  
განკითხულნი.  
მლიქვნელნი.  
ტრუბადურები.  
მეწეები.  
მგოდებელნი.



ვერლიბრისტები.  
 რითმოსნები.  
 ყოფილი პოეტები.  
 ვითომ პოეტები.  
 ძალად პოეტები.  
 განდევნილი პოეტები.  
 განდევნილი პოეტები.  
 შერიხული პოეტები.  
 დავიწყებული პოეტები.  
 მუსიკოსი პოეტები.  
 მხატვარი პოეტები.  
 მოცეკვავე პოეტები.  
 თანამედროვე პოეტები.  
 ძველი პოეტები.  
 ხვალის პოეტები.  
 ზეგის პოეტები.  
 გუშინდელი პოეტები.  
 უნიჭო პოეტები.  
 ნიჭიერი პოეტები.  
 მართალი პოეტები.  
 ლექსის მწერალი პოეტები.  
 ლექსის მხატვარი პოეტები.  
 კონკურსების პოეტები.  
 გამარჯვებული პოეტები.  
 დამარცხებული პოეტები.  
 შიშველი პოეტები.  
 შემოსილი პოეტები.  
 მაძლარი პოეტები.  
 მშვიდი პოეტები.  
 ცინიკოსი პოეტები.  
 ფუნაგორების პოეტები.  
 რედაქტორი პოეტები.  
 გამომცემელი პოეტები.  
 აკრძალული პოეტები.  
 ვერნაკითხული პოეტები.  
 ანთოლოგიაში დაბეჭდილები.  
 ანთოლოგიაში დასაბეჭდავები.  
 საერთოდ დაუბეჭდავები.  
 ამპარტავანი პოეტები.  
 თავმდაბალი პოეტები.  
 ფილოსოფოსი პოეტები.  
 მათემატიკოსი პოეტები.  
 ქიმიკოსი პოეტები.  
 იუველიერი პოეტები.  
 ოქროსმადიებელი პოეტები.  
 სამშობლოგაყიდული პოეტები.  
 უსამშობლო პოეტები.  
 მედიტირებაში მყოფი პოეტები.  
 გულის პოეტები.  
 სულის პოეტები.  
 ხორცის პოეტები.  
 გაცეხული პოეტები.  
 განსაცდელში მყოფი პოეტები.  
 გზასაცდენილი პოეტები.  
 დასჯილი პოეტები.  
 დაუსჯელი პოეტები.  
 დასასჯელი პოეტები.  
 თავზეხელაღებული.  
 აღვირახსნილები.  
 ეჟვანშებულელები.  
 შეუბმელები.  
 შესაბმელები.  
 რითმისა და ლექსის მპარავი პოეტები.  
 კრიტიკოსი პოეტები.  
 მეცნიერი პოეტები.  
 ისტერიული პოეტები.  
 პარანოიკი პოეტები.  
 დეპრესიული პოეტები.  
 აფექტის პოეტები.  
 შიზოიდი პოეტები.  
 შიზოტიპი პოეტები.  
 ნარცისები.  
 ნარცისები დაფნით.  
 პოეტები თამადაბი.  
 პოეტები-ერთი ლექსი.  
 პოეტები-ასი ლექსი.  
 პოეტები-მოღვაწეები.  
 სულჩაკლები.  
 ენამწარე პოეტები.  
 ცოცხალი პოეტები.  
 მკვდარი პოეტები.  
 თავისუფლებასმწერლები.  
 პოეტები საქართველოში.  
 პოეტები საქართველოს მიღმა.  
 პოეტები-ბლოგერები.  
 ფეისბუქპოეტები.  
 ორლობების პოეტები.  
 ქუჩის პოეტები.  
 ოთახის პოეტები.  
 მთის პოეტები.  
 ბრაკონიერი პოეტები.  
 მითებში მორიალენი.  
 არქეტიპებთან მოკამათე პოეტები.  
 მარინისტები.  
 კუბისტები.  
 მოდერნისტები.  
 პოსტმოდერნისტები.  
 კლასიკოსები.

რომანტიკოსები.  
 რეალისტები.  
 წყაროსავით მორაკრაკენი.  
 პოეტები ადიდებული მდინარეები,  
 პოეტები დამშრალი ტბები.  
 პოეტები ოკეანეები.  
 პოეტები მთარგმნელები.  
 პოეტები თარგმნილები.  
 ვერთარგმნილი პოეტები.  
 პოეტები, რომელთაც არ სჭირდებათ ითარგმნონ.  
 პოეტები, რომელთაც არ სჭირდებათ  
 სხვათა გადმოთარგმნა, რომ  
 პოეტებად დარჩნენ.  
 პოეტები, შესანიშნავი მთარგმნელები.  
 მსოფლიო პოეტები.  
 გალაქტიკის პოეტები.  
 მეტაპოეტები.  
 მწირები.  
 დაერიშები.  
 და... უბრალოდ, პოეტები.

\*\*\*

სევდაა  
 შენი არყოფნის სევდა,  
 და ყოფნა ჩემი,  
 მსგავსი არყოფნის...  
 გადმოიღვრება  
 ქარიდან ქარი  
 და სინანულით  
 აავსებს მლიობს.  
 დარჩება გული,  
 ქვიშის ნამცეცი.  
 და სული შენი,  
 ცასავით ღია.

\*\*\*

მთავარი მაინც ჩვენში ის არის,  
 რაიც შექმნილა განგების ხელით,  
 თიხის ჭურჭელში ჩაღვრილი ლავა,  
 საუფლო ცეცხლი, სულის დამწველი.  
 ბატონი არ ვარ, არც ვინმეს ყმა ვარ,  
 ვიპოვი, ვისაც ვეძებ და... ნავალ.

\*\*\*

ფერადი ძაფია შენი გზა,  
 ქალბნელო,  
 პირიშის ბაგეზე  
 ნამსკდარი ღიმილი.  
 და მკერდი,  
 ბაგაში თუნგივით  
 ჩაცლილი.  
 ქალშავავ,  
 გაშალე კოშკებთან ფარდაგი,  
 მაგ დაღლილ თითებით  
 ნაქარგი ნაჭრელა.

\*\*\*

„იარები შუქურ“, იარები,  
 ბეთლემის ქვაბებიდან, ბეთლემამდე  
 მკერდზე გადასხნილი იარებით.  
 დაშირი, დაიწვი, და-ცა-მთავრდი,  
 დარდის ამღვრეული მდინარეებ...  
 აჭარავ, ბეთლემის ქვაბებიდან,  
 „იარები შუქურ“, იარები!..

\*\*\*

საბრალო, პატარა მწყერჩიტავ,  
 ხარ ქორის, ხან თოფის სამიზნე,  
 ნუ უცდი შუადღის გადავლას,  
 ღამეს და უკეთეს ამინდებს.  
 ნუ გგონავ, ნიავი მოვა და  
 სამოთხის გაგიფენს სანახებს,  
 და ბედმა, გრძელკანჭა მწევარმა,  
 თუ ქნა და იმ ერთხელ გიყნოსა,  
 ნახტომით დაფარავს ბალახებს,  
 აგაფრენს და წინწინ გაგიგდებს.



ამირან არაბული

სულუქცევრად  
საკითხავნი

\*\*\*

საფლავშია ც რომ ბორგავს და ბუბუნებს, ნუხს და ვერ  
 ისვენებს. ლელავს, ალად ანთია და გულჯავრიანობს. იქაც  
 რომ სახელ-სირცხვილზე ფიქრობს და მტერთან მიმა-  
 რთების მიხედვით საზღვრავს თავის კაცობას, პიროვნულ  
 ღირსებას. გაფოთებული წყრება, ბობოქრობს და ისეთ  
 რამეს უთვლის თუ უბრძანებს ღვიძლ ძმას, ახოვანი მთე-  
 ბიც რომ შეიძვრიან და შეზირზოლდებიან: „ძმას — თამ-  
 არისძეს უბარებს, ჯავრს ნუ შამაჭმევ მტრისასა, თორთ  
 ავდგები, გამოვალ, კარს გავტეხ შავეთისასა!“  
 რას და... დაზეზებული ლომის ბრდღვინვას ჰგავს საი-  
 ქიოშიაც მღვიძარე უცნობი ვაჟკაცის მწარე მუქარა...

\*\*\*



მამულიშვილი.

ეს ერთი, ერთადერთი სიტყვა, ასე მგონია, ყველაზე  
 მეტად უხდება და ესადაგება რეზო თაბუკაშვილის მი-  
 უმსგავსებელ, განუმეორებელ პიროვნებას.

ის იყო მამულიშვილი თავისი ლამაზი, ფრთიანი ფიქ-  
 რით, გზიანი სიტყვით, სამთელქვეყნო საქმით („საქმემან  
 შენმან...“), ცხოვრების ყაიდით და მოღვაწეობის წესით!

ქართველ ემიგრანტთა ნაკვალევის ძიებაში მსოფლიო  
 ჰქონდა შემოვლილი. შედეგად შეიქმნა დიდებული ფილმე-  
 ბი, რომელთა შემეცნებით ღირებულებას დიდნილად გან-  
 საზღვრავს და განაპირობებს დოკუმენტური საფანელი  
 და მრავალმხრივი ფაქტოლოგიის „ნატურალისტური“ სი-  
 ცხადე.

მარტო „საქართველოს მეჭურჭლეუთხუცესი“ რად  
 ღირს, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცს რომ ეძღვნება და საც-  
 ნაურყოფს მის განუზომელ ღვანლს ეროვნული განძის  
 რუდუნებით პატრონობის, მოვლა-შენახვისა და ფიზი-  
 კური გადარჩენის საშვილთაშვილო საქმეში!

ერთხელ მახარაძის 13-ში (ფილიპე მახარაძის ყოფილ  
 სახლში), სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში ქირით  
 ვცხოვრობდით მე და ეთერი, სრულიად მოულოდნელად  
 გვესტუმრა თენგიზ მირზაშვილთან ერთად და მაშინდე-  
 ლი თბილისისთვის ჯერაც უცხო „ხილი“ — ბევრი ფერ-  
 ად-ფერადი „ჟუჟვარკა“ მოგვიტანა...

მხატვრისა და კინორეჟისორის უბადლო ტანდემი იმ  
 დღეს პირდაპირ გადასალეხი მოედნიდან — დედაქალაქ-  
 ის გარეუბნიდან — ბრუნდებოდა, რაზეც ტალახით მოსვ-  
 რილი მათი მძიმე ბათინკებიც მეტყველებდა...

იმ საღამოს მოვისმინეთ შექსპირის მე-13 სონეტის თა-  
 ბუკაშვილისეული თარგმანი და მისივე ორიგინალური  
 ლირიკული ლექსები...

მერე მესტიაში „მიშობაზე“ შევხვდით ერთმანეთს. ბა-  
 ტონი რეზო „კლდის ვეფხვეზე“ — მიხეილ ხერგიაზე —  
 იღებდა დოკუმენტურ ფილმს. ხალხის ტევა არ იყო გაბ-  
 მული წვიმებისგან გაშმაგებული ენგურის ნაპირებზე.

ჩვენი ათკაციანი ჯგუფი, ვახუშტი კოტეტიშვილის  
 „უსტაბაშობით“, ფოლკლორულ საღამოებს მართავდა  
 დასავლეთ საქართველოს რეგიონებში და, შემთხვევით თუ  
 შეგნებულად, ამ დაუვიწყარი მოვლენის ეპიცენტრში აღ-  
 მოვიჩნდით...

ნათელ ზვიადაურმა, ივანე ნიკლაურმა, იოსებ ბაიაშვი-  
 ლმა და ეთერ თათარაიძემ თავიანთი ლექსებით შეავსეს  
 და დაამშვენეს მნიშვნელოვანი ფურცელი სვანეთის არას-  
 ადაგი ყოველდღიურობისა. ხოლო ლელა თათარაიძის,  
 რებო ბექურაიძისა და ლელა ოსორაულის მიერ გარმო-  
 ნზე შესრულებული თუშური სიმღერები და მელოდიები  
 ისე ერთვოდა და ებანებოდა ენგურის მღვრიე ტალღების  
 დგაფუნს, როგორც საამური სიო — შლეგ ქარიშხალს...

საღამოს ქართველი და უცხოელი სტუმრებით შევისო  
 მესტიის ცენტრში მდებარე რესტორანი (ისე, სხვათა მო-  
 რის: პირველად იქ დავაგემოვნე კუბდარი — სვანური კუ-  
 ლინარიის ნამდვილი შო და მშვენება).

ნაციონალურ სუფრას ჩვეული ენამჭევრობით, ძარღ-  
 ვიანი და ემოციური სიტყვით უძღვებოდა პოეტი ვალე-  
 რიან საღლიანი...

ეს იყო 1980 წლის 28 ივლისი.

„ზენიტი“ გადაღებული შავ-თეთრი ფოტოსურათიც  
 ამ მაღლიანი დღით არის დათარიღებული.

გაგრძელება

გოგია კბილები გაიხეხა, სახეზე ცივი წყალი შეისხა რამდენიმეჯერ და ტანსაცმლის გამოსაცვლელად გამოვიდა ოთახში. — ჩადი და ჩამოვალ, — უთხრა შოთას. თითქმის ყველა ფოიეში დახვდა. შუქი ისევ არ იყო. მაგრამ წვიმდა დიდი მინების მიღმა. ზოგი ყავას სვამდა, ზოგიც სპირტიანს და ცეცხლთან ახლოს ქურდებოდნენ. თიკა არ ჩანდა, თვალი ვერ მოჰკრა. — გაუმარჯოს ხალხს! — კარი შემოაღო თავით ფეხამდე გალუმპულმა ივიკომ, რომელიც სხვა ადგილას ათევედა ღამეს, — ბიჭოს, რა თავსხმა და ჯანდაბაა, — კურტკას იფერთხავდა და კისერში ჩაწონილ წვიმის წვეთებს ქვის იატაკზე იბერტყავდა წელში გვერდულად გადახრილი. — ჰა, რას ვშვებთ? — მიუახლოვდა გოგია. — მაგის სათქმელად ვარ მოსული, — უპასუხა ივიკომ და სველი ტანსაცმელი ფეხთან მიაფინა სკამზე გასაშრობად, — მოკლედ, ლევანისგან მოვდივარ ეხლა... გადაიდო გადალება და მთელი ყველა ამბებიც... ნახე, როგორ წვიმს... სტუმრებიც ვერ ჩამოვიდნენ, ორ დღეში გამოდარებას არ ვეწინასწარ ვეგვიტყობს ამინდის პროგნოზი... უნდა დაველოდოთ... ყველაფერი გადახდილია, — რატომღაც ისევ ხმაშაყვი და მხიარულად, ყველას გასაგონად შემოსძახა მან, მერე გოგია გაიყვანა გვერდზე და ცალკე უთხრა, — ლევანამ პირადად მოგიხადა ბოდიში... თურმე იცნობთ ერთმანეთს... ჰოდა, ასეა რა საქმე, ორი დღე რომ დაიცადო, შეგიძლია, გცალია? გოგია თავი დაუკრა. — „სტუმრებიც“ იქნება, — ისევ კმაყოფილი ჩანდა ივიკო. — რა „სტუმრები“? — ახალგაღვიძებულზე ბრაზიანად მთელი ტანით მიანვა გოგია, — რა ენაზე ბაზრობ, ვის ელაპარაკები? — ცუდი გაღვიძება იცოდა. მერე მოუშვა ოდნავ, როცა დაფეთებული ივიკოს სახე დაინახა, არაფერი იყო საჩხუბარი, — ისე, ჯგუფს ჰკითხე, მაგათ თავისი პასუხი ექნებათ, — შეეშვა ივიკოს და დახლთან მივიდა საუზმის შესაკვებად. — დილა მშვიდობისა, — მიესალმა გუშინდელი დახლიდარი ბიჭი. — მშვიდობა დილისა... დაასხი ჭაჭა, შექმედი მინც ვერ ვარ ჯერ ვერაფრის, — დახლზე ჩამოეყრდნო მძიმედ. ივიკო ჯგუფის სხვა წევრებს ელაპარაკებოდა, რომლებიც სიხარულით შეხვდნენ კახეთში ორი დღით ჩარჩენას. — გამარჯობა ყველას! — ხელის აწევით უკანა კარიდან შემოვიდა თიკა, ისევ მწვანე ბოტიები ეცვა ტალახით დათხვრილი და ნითელი საწვიმარი ჰქონდა თავზე და მხრებზე წამოფარებული. გაიძრო სველი საწვიმარი, ფეხს მიეფიცა და ეშმაკური ღიმილით გამოხედა გოგიას. გოგია ოდნავ მუჯავდ დაუკრა თავი, რატომღაც უხერხულობას გრძნობდა, თითქოს რაღაც დაეშავებინა, მაგრამ... „ღიმილიც რა „რადნი“ აქვს ამ ლანირაკს“ — გაიფიქრა თავისთვის და ჭაჭა გადაკრა. — რომ იცოდე, — გამთბარი ხელების ფშვნიტით მიუახლოვდა თიკა დახლთან გოგიას, — შენმა გუშინდელმა სფიჩმა რაღაც გაჭრა და დღეს ფეხზე დგას ჯანიანად ჩვენი თეთრი ცხენი. — გაქაჩავს, — ვესტერნის გმირით გამოვიდა თქმა გოგიას და ახალი ჭიქის შევსება მოითხოვა. — თიკას სიცილი წასკდა. — ჰო, გაქაჩავს, — დაუდასტურა მან და გვერდით დაუჯდა დახლთან. — გუშინ თქვენმა ვირუკამ დილაზე „ია! ია!“ და „უა“ დაურთო ბოლოსკენ, — შოთა მიადგა ჭიქით ხელში, — ალბათ სციოდა. ხომ კარგად გრძნობს თავს პატარა და ლამაზი? — კი, ელვა-გრუხუნის არ იცის ლუნამ ჯერ ხმები და ეშინია, — გაუღიმა თიკამ. — ზევსი ბრდღვინავდა ღამით, გადაანათა ჭალები... — თქვა შოთამ, — ისე, მართლა მაგრად აქუხა, ალავერდიც ჩანდა შორით გაღვევებში... ამაზე გითხარი, ბევრი დაკარგე-მეთქი, — გოგიას მიმართა. — ჩვენი ჭალებიდან კარგ ამინდში ჩანს ხოლმე ალავერდი, — თქვა თიკამ, — ხან ხედავ, ხან არ გენახვება, ადგილი, ნერტილიც იცი ზუსტად, სადაც გეგულება, მაგრამ არაო, გეუბნება, და ის დღე არ მიყვარს ხოლმე... — მარტო ელვა-გრუხუნში უყვარს გა-

მოჩენა? — ცარიელ ჭიქას დახლზე ათამაშებდა გოგია. — არა მარტო... დაგანახებთ კიდევ, თუნდაც წვიმაში... გინდაც დარში, მაგრამ გეუბნები, დამალვა იცის, — უპასუხა თიკამ და ფეხზე წამოდგა, — მაგ მხარეს მიწვეს დღეს ნახვლა, დიდი აკორდეონი გამოდეს გასაყიდად თელავის ვოლზე... თუ გინდათ, გამომეყვიტო, გადაიღებთ სოფელს, — გოგიას უყურებდა. — დიდი სიამოვნებით, — ჩაერთო ლაპარაკში შოთა, — გადალება მაინც არა გვაქვს, ხომ? — გახედა გოგიას.

რეზო თაბუკაშვილი

კარტი  
თაბაშის პოლომდა  
არ იყრება



— ხო, არა გვაქვს. წამოგყვებით, — უპასუხა გოგიამ, — თორემ მარტო აქ გავრეკავთ. — რატომ? — გახედა თიკამ. — ნუ... წვიმის ვგულისხმობ, — მოიბოდიშასავით გოგია. — მე კამერას წამოვიღებ, — კმაყოფილი ჩანდა შოთა. — წამოიღეთ, რამეს ნაღდად გადაანყვებით, — კიბისკენ დაიძრა თიკა, — მე ოდნავ მოვწვრილებ და წავიღებ... — წვიმს, წვიმს, ნახე, როგორ წვიმს! — წამიღერასავით შოთამ, — ხან ასწორებს, ხან არა, — თქვა და გოგიას გახედა, — შენ შეგაფერხა რამეში ამ ორი დღის გადაღებაში? — არა, — უპასუხა გოგია. სადღაც გაუხარდა კიდევ საქმის გაჭიანურება, თან ქეთოსკენ მიუწვდოდა გული საქმის გასარჩევად, რაც იცოდა, რომ კარგად არ დამთავრებოდა, მაგრამ ბრაზი თუ სიყვარული ექაჩებოდა იქით, — ჰო, კარგია თბილისიდან რამდენიმე ხნით მოწყვეტა... მოდი, დავარტყათ, — უთხრა შოთას და თითოს ჩამოსხმაც ითხოვა ორ კაცზე. ხის უთქმელად, ჭიქების მიჭახუნებით. ბავშვებზე ეფიქრებოდა გოგიას. ქეთოზე ბრაზს და სიყვარულს მათი არსებობა ჩრდილადაც სიმშვიდით და სინათლით. მყარად არიან ფეხზე დასაყენებლები. მიხო საერთოდ ბიჭობიდან კაცობაში გადადის. კი, სწავლის, ოჯახის მოვლის ფულს რაღაცნაირად აბამენ თავს და ბოლოს გოგია და ქეთო ერთად... ვეტერანების ფონდიდან ერთი მინა ნაკვეთი აქვს გამოყოფილი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც გადმოსაფორმებელია. მიხედულებით აქვს ამ საქმისთვის, ბევრი ნაცნობი ჩინოსანი ჩართო „დაკუმენტის“ დასამონტებლად და დღე-დღეზე ბავშვების სახელზე გადააფორმებს ქონებას და მთელ თავის დარჩენილ ავლადიდებს, ზემოდან სოლოლაკის სახლსაც, რაც გააჩნია. — შეილები გყავს? — ჰკითხა შოთამ. — გულთმისანი ხარ? — იჭყნეულად გახედა გოგია. — არა, — გაეცინა შოთას, — უბრალოდ, გკითხე. — კი, ორი — გოგო და ბიჭი. — მე ოთხი ქალ-ვაჟის მამა ვარ, — ამყავდ თქვა შოთამ, — ეგენი მადლებიწებენ ყველაფერს, და ჩემი სიღონია, ჩემი ცოლი,

— მხიარული განწყობა არ კარგავდა შოთას. — ჰო... ეგენი გვაძლებინებენ, — დაეთანხმა გოგია. ქეთომ ამჯერად საიდანლაც შორიდან ჩაიღიმა, რის გამოც გოგიამ სასწრაფოდ ახალი ჭიქების შევსება მოითხოვა. ისევ უხმოდ, ჭიქის მიჭახუნებით გადაკრეს. — აი, მეც მოიდა! — სპორტულად, „adidas“-ებში გამოწყობილმა თიკამ ჩამოირბინა კიბე. ფეხზე მძიმე ბათინქები ეცვა, — ეს მალიში ხომ მაქვს... ეგეც ამ თელავური

ვენახი ოც წელიწადსაც ვეღარ გაძლებს... ჩამოხმება... და დარჩება მხოლოდ მაყუთის საკეთებელი ჰესი, რომელიც აქაურობას თეთრს არ მოუტანს... რომც მოუტანოს... — თქვა მან და მერე დაურთო, — თუ გაინტერესებთ, რატომ ვებრძვი ლევანას და მის ამფსონებს, გიპასუხებთ — ვენახს და ვაზს ვიცავ. — ვაზ! სიტყვა ეგეთი უნდა... და სეტყვაც, — მანქანის სახურავისკენ აიხედა შოთამ, — და ეს ყველაფერი დაფეხათეზული გაქვთ და პროფესიონალების დასკვნებით დადასტურებული? — უმაღლეს დონეზე. საჩივარიც გვაქვს სასამართლოში შეტანილი. სხვადასხვა სფეროს პროფესიონალი მეცნიერების დასკვნები ახლავს თან. შეიძლება, ორი სოფელი გადაშენდეს აქედან ამ ჰესის გამო. — რა იყო, ეგეთი შაჰ-აბასი და წარღვნის მომასწავებელია ეს ელექტროსადგური? — ჰკითხა გოგია. — არ ვაბუქებ, — გახედა თიკამ საჭის მართვისას, — მართლა გასაბრაზებელსა ვბრაზობ, — მკაცრად უთხრა კახური აქცენტით. — და იმან პასუხი ვერ გაცვით? — სველ შუშას უყურებდა გოგია, — რომ ისე არ არის საქმე, როგორც თქვენ გეჩვენებთო?... რამე არგუმენტი არ გამოუყენებია? — კი, გავცვა... შეიძლება, რაღაცები მართლა არის ბოლომდე გასარკვევი, — ამოისუნთქა თიკამ, — ოღონდ ბევრ რამეს დაჰპირდა სოფელს... „მარს-ვასიუკის“ დაჰპირდა... და ხომ იცი, ადვილია ფულით ღარიბი ხალხის ყიდვა... ბევრიც იყიდა, მათი მინებიც იყიდა, გამწვანებული ვენახები ჰექტრებად, სადაც ისევე ის გლეხები დაიქირავა თავიანთი ყოფილი ვაზის მოსავლელად თვეში ოთხას ლარად... — ...ჰო, და მათი შვილები მერე მერსედებს რომ ყიდულობენ ამ ვენახის ფულით... ეს ვიცი... მართლა დარწმუნებული ხარ შენ სისწორეში? — ხალხის კვლევებს და დასკვნებს ვგულისხმობ, მცოდნეების... თორემ იმდენი ვნახე ბუჩქების დამცველებად თავამოღებულები და აღმოვითვალე... არადა, თურმე ქვეყანას წაადგებოდა ის საქმე, მაგათი ჩამოღობილი, — სველ ტრასას უყურებდა გოგია. — შენ ვისი „ბიძაშვილი“ ხარ?... აგრესიულად გამოხედა თიკამ, — მეგონა... — და აღარ დაამთავრა სიტყვა, სისწრაფეს მოუმატა. — გეგონა და სწორედაც გგონია კიდევ, — თქვა გოგიამ და თიკასთვის არ შეუხედავს, — მინდა, გავერკვიო აქაურობაში, რა როგორ არის, — მშვიდად თქვა. — ძნელი დასანახი არ არის, — მკვახედ უპასუხა თიკამ. — მოდი, ამ სიმღერას აუწიე, — რადიოზე მიანიშნა შოთამ, საიდანაც ძველი, ნაცნობი მუსიკა ისმოდა. ჩუმად ისწინენ, მიქროდნენ ტრასაზე აკორდეონის საყიდლად, რომლის მფლობელი ქალიც გზადაგზა ტელეფონით ასწავლიდა სოფლისკენ ჩასახვევ ადგილს. მაგრამ წვიმა და ძლიერი ქარი მანქანას აქანავებდა. გოგიასაც ქარბორბალად, „შარავაია მოლნიად“ უგლეჯდა სულს ძველი და ახალი სიხარულები და ტკივილები... ბავშვებზე ჰქონდა ფიქრი... — „...გვიშრომია, გვიმია...“ — დაცინვასავით უსმენდა შოთას მოთხოვნით ხმანულ და მისთვისაც საყვარელ სიმღერას, რადიოდან რომ უღერდა... ქეთოსთან ერთად აფხაზეთის ნანვიმარ სანაპიროზე რომ გავიდნენ, შავი ლვინის ბოთლი ჰქონდათ თან და რადიოლა, საიდანაც ეს სიმღერა ისმოდა, ზღვა იყო და მუქი ცა... ამას წინათ გოგიამ მოინდომა ამ ღამის შეხსენება ქეთოსთვის, რომელმაც ვერაფრით თუ ჯინახე აღარ გაიხსენა... — აქეთ უფრო გამოლილი ადგილებია, — თქვა თიკამ, — წვიმაც და სეტყვაც უფრო მკვახედ იცის, ვიდრე ჩვენსკენ. ჩვენ ხეობა გვიცავს. თიკა გზიდან ურეკავდა აკორდეონის გამყიდველ ქალს, ხშირ-ხშირად ეკითხებოდა მთავარი გზიდან ჩასახვევი ადგილის სწორ მიმინებებს. ტრასიდან გადახვევის შემდეგ ბევრჯერ აერიათ გზა-კვალი პატარ-პატარა სოფლების ორლობებში შესვლით და მერე უკან გაჭირვებით გამოსვლით. ბოლოს მიაღწიეს სასურველ ადგილს. სოფლის ერთ ჩიხში ორი ქალბატონი დახვდათ დიდი, ჭრელი ქოლგით ხელში. წვი-

მისგან შეფარებულში კი იდგნენ, ქოლგაც იცავდათ, მაგრამ მაინც დასველებულები ჩანდნენ და ხელის სწრაფ-სწრაფად დაქნევით ანიშნებდნენ, რომ სწორად იყვნენ მისამართზე მისულები.

სახლებს შორის წვალეთით იპოვა თიკამ მანქანის გასაჩერებელი ადგილი, რადგან ახლომახლო უამრავი მანქანა ეყენა ერთი-მეორეზე მიჭყლებული.

— აქეთ მობრძანდით, აქეთ! — წვიმის ხმაურში ყვიროდნენ გზაზე გამოსული აკორდეონის გამყიდველი ქალები. ქოლგაც დაკეცეს და ბეტონის ლობეში ამოჭრილი ლურჯი კარისკენ მოუხმობდნენ მათ.

გადმოვიდნენ საივნიანი მანქანიდან და სირბილით შეჰყვებოდნენ გზას.

— მობრძანდით, აქეთ შემოდით, — უთხრეს ქალებმა და შინ შეუძღვნენ.

ლობის გადაღმა, მეზობელი სახლის ეზოში, მეორე სართულის აივნის ქვეშ, ხალხი იდგა შექუჩებულად.

— აქა პანაშვიდია მეზობლის... ჩვენ ჯვარი გვგენია და ცხრა მთას იქით, — თქვა ერთ-ერთმა ქალმა, — ახლაგზარდა კაცი მოკვდა, სულ უმიზეზოდ, — დააყოლა ბოლოს.

— მოკვდა თუ მოკლეს? — იკითხა შოთამ.

— არა, კაცო, სულ თავისით, — ხელის ჩაქნევით ლაპარაკობდა მასპინძელი და დიდ ოთახში შეპატივებულებს თეთრად გადაფარებულ მაგიდაზე შემოდებული მწვანე აკორდეონის ამაყად წარუდგინა.

— უცხო სახლში მოხვედრისას, წიგნის თაროების გარდა, სარკეებისკენაც გავირბის თვალი, იქაური ბინადრების ამბებსაც რომ ჰყვებიან და შენც მოგიძებნიან ადგილს „ბუფეტის“ მართულებად ანარეკლში. ოთახში შესვლისას ასეთივე კარგად შემონახული ბუფეტის სარკეში წელიში მოხრილმა შეხედა გოგიამ და კლაუსტროფობიური განცდა დაეფლა, მხრებში მოუნდა გაშლა, ღრმად ამოუნთქვა. კუთხეებში დანაოჭებულ სარკეში საკუთარ თავს მოჰქრა თვალი, უცხო... —

თიკა აკორდეონს ათვალერებდა, ბეჭებზე ირგებდა მის სამზარეულებს. კლავიშებისთვის თითები არ დაუკარებია.

მისაღები ოთახის მიღმა კიდევ ოთახი იყო ღია კარით, სადაც ასაკოვანი, ჩამომდნარი, პირდაპირ ჩანდა, მომაკვდავი კაცი ინვა გაუნძრევლად. მიზიდული თვალებით შეჰყურებდა მათ და რამდენჯერმე ხელის გატოკებით ყურადღება ითხოვდა.

— ესა ახალთახალია. კი, დრო და თარღი მეტად ბევრი ანერია, მაგრამ არა ხმაურებულა. მამაჩემის ჩამოტანილია რუსეთიდან, რამდენჯერმე თუ დაჰკრა კლავიშებს... — აკორდეონს აქებდა ქალი, რომელსაც ბევრი ოქროს კბილი უჩანდა ლაპარაკისას, — მე მუსიკის მასწავლებელი ვარ... ვიყავი სკოლაში... მერე ნაცი ხარო, თუ პირიქითო, და გამომავდეს... მამაჩემს, აი, ამ კაცს, დათუნას... მოჭიდავე იყო კლასიკური, სსრკ-ს ჩემპიონი... — ოდნავ დარცხვენით გაიმშვირა ხელი სოფროფანა ფარდის მიღმა მწოლიარე კაცისკენ, — ბოლოს სევდა შემოეპარა და აღარ უკრავდა... არადა, კარქათ გამოსდოდა... და ახლა წევს, წლებია, წვალბოს, ინსულტმა სძლია... — ჩაილაპარაკა.

გოგიამ კაცს გახედა. გალუული იყო და სილურჯედაკრული ხელები და ზედა ტანი მოუჩანდა. თვალებიდა დარჩენოდა ცოცხალი.

— ჰო, ამ ცხოვრებას მსაჯებთან უნდა მოუგო, — ჩაილაპარაკა შოთამ მოჭიდავეების ენაზე.

— ...ჰოდა, — აგრძელებდა ქალი აკორდეონის შეფასებას, — თუ ხაართ გარკვევაში, მიხედვით, რომ კარგია და უდეფექტო.

— შეგიძლიათ, რომ მოგვასმენინოთ? — ჰკითხა გოგიამ.

— არა... აბა, აქა როგორ შეიძლება?... პანაშვიდია გვერდით, — შეიცხადა მან.

— ნამო, გარეთ გავიდეთ, მანქანაში მოვსინჯოთ, — შესთავაზა შოთამ.

— კი, ეგრე მოსულა... აბა, ხომ უნდა ნახოთ, რასა ყიდულობთ, — თქვა ისევ ოქროსკბილეთან ქალმა. მეორე, ნითური, სულ დუმდა და რატომღაც გაბრწყინებული თვლების ხშირ-ხშირად ფახუნით აკვირდებოდა მათ საუბარს, — ესა ჩემი დაა, უნცროსი, ლელა... ამ ავდრის გამო მეც ვერ მოვასწარი, გაცნობოდით, ნატალია მქვია მე, — მორიდებით გამოუვიდა თავის ნარდვენა ნატალიას.

— სასიამოვნოა, ეს თიკაა, მე გოგი, ეს შოთა... — გაეცნო გოგია.

— თიკას ვინ არ იცნობს აქეთ, — ოქროს კბილები გამოაჩინა ნატალიამ, — ყოჩალი გოგო ხარ შენ, ყოჩალი, — უთხრა უხერხულად ანურული თიკას. მისი და, ლელა, მივიდა თიკასთან და ხელი მხარზე ჩამოუსვა რამდენიმეჯერ და გაბადრული უყურებდა.

ნატალიამ დაავლო ხელი აკორდეონს, აბა, გამომყევითო, და გააქანა თიკას ჯიპისკენ. ყველანი უკან გაჰყვებოდნენ. შოთამ გასვლისას მწოლიარე დათუნას გახედა, მუშტის ანევიტ დაემშვიდობა, გოგიამაც თავი დაუქრა. კაცმა თვალები დახუჭა შეყოვნებით და აახილა, დაგინახეთო.

დღევ ჩაეტივინენ მანქანაში. წინ თიკა და გოგია ისხდნენ, დანარჩენები — უკან.

— ცოტათი გაღმა გავიდეთ, უხერხულია, — თქვა ნატალიამ, — აი, ნახავთ, რა ხმა და ჟღერადობა აქვს.

გაცვდნენ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს და გაჩერდნენ თავსხმა წვიმაში ტრასასთან, ავტობუსის გაჩერებასთან.

— ახლა ცოტა ჩაინიეთ და მიიწიეთ, თორემ ვერ ადვილიც არ არის ამის დაკვრა, — თქვა ნატალიამ, — თანაც საუკუნეა, აღარ გავკარებდვარ...

— მომეცი მე, — თითქმის ნაართვა ხელიდან ლელამ, დამ, აკორდეონი, მხრებზე მოიგდო და ძნელად და მიძიმედ განელა. თავიდან ცოტა ხანი ანვალა და აანყო საჭირო მოტივით.

შოთა იღებდა კამერით, როგორც მერე გამოტყდა, სულ ვიღებდი, თავიდანვე ჩართული მქონდა, იმ სსრკ-ს ჩემპიონ კაცსაც გადავუღე და მაგარი მასალა გამოვაო.

— „...მაშინ ხომ კარგი ვიყავი...“ — შემოსცხო ლელამ თავიდან თუშური, შემდეგ ერთი-ორი უცხო სიმღერაც დაამღერა ჯანაიანად აკორდეონის გაწვლვით და მზიარულად, გამომწვევი მხრებით შეჰყურებდა მანქანაში მსხდომებს სათითაოდ, ჟღალი ნაწნამების მოგაყოფ ფახუნით. გახელდა, ზნექდა აქეთ-იქით მიძიმე აკორდეონს და რაღაც ველური ჟინით აკვირდებოდა მსმენელებს სიმღერისას. მერე უცხად მოიხსნა მხრებიდან აკორდეონი, ყიჟინა შემოსცხო ხმამალა და მანქანიდან გადახტა, წვიმაში გაიქცა სახლისკენ. უცნაურად, ქარს დატაკებული ფრინველივით იქნევდა ხელებს.

— არ გეწყინოთ, — პატარა პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა ნატალიამ, — იცის ხოლმე... — რა გეწყინოს, — გაანწყვტინა სიტყვა შოთამ, — გემრიელად იმღერა. — კი... გემოვნებისანი არის, ოღონდ ხანდახან მოაწვება ხოლმე, — თქვა ნატალიამ, — მოგწონთ ინსტრუმენტი თუ არა? — იკითხა ბოლოს.

— კი, — უთხრა გოგიამ და თიკასთან მცირე შენიხალმდეგების შემდეგ უყიდა „ინგილო გოგოს“ სასტუმროს ახალი მწვანე აკორდეონი ჰონიორარის ფულით.

— ამისთვის არ ნამომიყვანიახარო, — წყენით თქვა თიკამ. უკანა გზაზე იყვნენ ნამოსულები, ისევ მაგრად წვიდა.

— კარგი საქმე ჩვენც გავაკეთებინე, — უპასუხა შოთამ.

გოგია ჩუმად იჯდა.

შუა გზაზე ძროხა გაჩხერილიყო მყარად მდგარი, გაუტოკებლად, იდგა წვიმის ბინდში ძნელად დასახნავი, და ბოლო ნამს მოასწრო თიკამ გვერდის აქცევდა. მექანიკურად მარჯვენა ხელი საქეს აუშვდა და გოგიას ხელს დაადო აღელვებულმა.

„ჰო, ნუ გეშინია“ — გაიფიქრა თუ აგრძნობინა გოგიამ და ხელი ხელზე მოუჭირა.

„ინგილო გოგომდე“ ბევრი სიტყვა არ უთქვამთ. რადიოს უსმენდნენ და მანქანაზე ნარაკუნებ სეტყვიან წვიმას.

— ეხლა სადილი გელოდებათ, — თქვა თიკამ, — ოღონდ სასტუმრო იხდის ყველაფერს, — ნაწყენივით, კარის მიჯახუნებით გადმოვიდა მანქანიდან და უკან მოუხედავად წავიდა შენობისკენ.

— მოდი რა, სანამ გავვიბრაზდები და ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდებით, — გასძახა შოთამ, — შენი ლუნა მოვიხანხულოთ.

— უკვე სხვა მხარეს ხართ? — გამოსძახა თიკამ.

გოგიამ ძილი მოიმიზეზა და ნომრისკენ წავიდა. თიკა და შოთა ვირუკას მოსანახულებლად გაემართნენ.

შესასვლელში ივიკო დახვდა გოგიას.

ჯგუფის წევრებს ხვალინდელი გადაღების განრიგზე ელაპარაკებოდა.

— გოგი, შენ გეძებდი, — კარში შემოსულ გოგიასთან მივიდა ივიკო, — ეხლა ვეუბნებოდი ბავშვებს, — რაკი გადამღები ჯგუფის ყველა წევრი მათზე ბევრად უმცროსი იყო, ეტყობა, ამიტომ იხმარა ეს სიტყვა, — მოკლედ, ახალი ინფორმაცია... ხვალ ჩამოდის სტუმრების ნაწილი. მარანი, ვენახი, ვაზი და ჩურჩხელა, და ასე შემდეგ, ხვალ გადავიღოთ, ჰესი და მთავარი ამბები — ზევ... OK?... — დაეკითხა უხალისოდ შეყოვნებულ გოგიას.

— კაი, — ხელით ჩამოიშორა გოგიამ. დადლილი იყო.

— რა იყო, განყენინე რამე? — გაკვირვებული ჩანდა ივიკო.

— არა, — სიცლით ჩაეხუტა გოგია, — ამინდის ბრალია.

— ჰო, — გაიცინა ივიკომ, — თორემ ვიფიქრე... რო იცოდე, ხვალ და ზევ სტუმრები ჩამოდიან, უცხოულებიც და ჩვენებიც, სულ სერიოზული ხალხი... და შენ მაგარ პატივს გცემს ლევანი... ბევრჯერ გიკითხა.

— ჰო, ჩემი თაობაა, კარგად მასხოვს, მომიკითხე — უთხრა გოგიამ, — აბა, დროებით, — მხარზე ხელი დაჰკრა ივიკოს.

დაძინება გადაფიქრა. ბოსლისკენ წავიდა. ტელეფონი ამოიღო გზად და ქეთოს ნომერი მოძებნა, ოღონდ აღარ დარეკა. ისევე ფიქრით ჩაიბრუნა თავისი „Nokia“. კარგად მოიგო ტელეფონის ეს ძველი მოდელი, რომელსაც დარეკვის და მესვჯის გავზავნის გარდა სხვა ფუნქცია არ ჰქონდა. გამძლე იყო, მისთვის აუცილებელ და საჭირო მოვალეობებს ასრულებდა. ბევრჯერ დავარდნიდა და მიუხედავად კიდევ კედელზე, და ის, უცნაურად, მაინც ყოჩაღად მუშაობდა. დაფუძნა ამტანობა გოგიამ და არ ღალატობდა ამ ფირმის მოდელს, სხვას არ ყიდულობდა. ახალ ტექნოლოგიებს არ ერჩოდა, მაგრამ მოხმარებაში გამოცდილ საგნებს ამჯობინებდა... იციან ნივთებმა მიჩვევა, ამბებს გახსენებენ ერთად თავს გადაამხდარს... თავისი ძველი ჯოხი მოაგონდა ბოსლისკენ, ლუნას სანახავად მიმავალს, ადრე მთაში ორკვირიანი მარშრუტი რომ ატარა მარტოდ დაძრულს, ნაშალზე ჩატურებულმა მასზე დაყრდნობით რომ შეიმაგრა თავი ხევში გადავარდნისგან, მთელი გზა რომ მაგრად უმეგობრა და უკან, სოფელში დაბრუნებულმა, უახლოესი ქალაქისკენ დაძრული ავტობუსის სახურავზე აძრომისას რომ მოისროლა ტალახში იქვე უსაქმოდ შეკრებილი ბავშვების ფეხებთან, რომლებმაც ის კაპიკებად მიჰყიდეს გზის დასაწყისში.

მთელი გზა რომ მაგრად უმეგობრა და უკან, სოფელში დაბრუნებულმა, უახლოესი ქალაქისკენ დაძრული ავტობუსის სახურავზე აძრომისას რომ მოისროლა ტალახში იქვე უსაქმოდ შეკრებილი ბავშვების ფეხებთან, რომლებმაც ის კაპიკებად მიჰყიდეს გზის დასაწყისში.

დელოზე გამოყვანილი ლუნას ირგვლივ შეკრებილ ხალხს მიუახლოვდა გოგია.

ლუნა დაბნეულად იდგა გარს შემოხვეული ადამიანების შუაში. ბალახსაც არ ნინკნიდა. მომწვანო დიდი თვალებით ძირს იყურებოდა. ყურები ჰქონდა აბნეული ისევე ცქცილდა. ოდნავ თუ დაიბურმულბოდა ტანზე ფეხის მოუცველად, როცა ვინმე მოსაფერებლად გაიწევდა.

— კარგი, არ დავლალოთ ლუნა, — თქვა თიკამ, — ვაჟიკ, აჭამე, ხომ? — სახელოებაკაპინებულ ბიჭს გასძახა, რომელსაც ლუნას პერსონალურად მოვლა ევალებოდა.

— კი, ჭამა ახლა, — თავი დაუქნია მან და ლუნა მოფერებით, ფერდზე ხელის მირტყმით ბოსლისკენ გააქცია.

— თქვენ ძროხებიც გყავთ? — ჰკითხა თიკას ერთ-ერთმა გოგომ.

— კი, — ვერდი ცალი. მაკედ არის ოთხი, — ამაყად უპასუხა თიკამ.

— კავბოიმა ხარ, — უთხრა გოგიამ.

— გახლავართ, — მიუგო თიკამ და ყველა სასადილოდ შეიპატოჯა უკან, სახლში.

— სადილის შემდეგ შენი ვენახები და აქაური ღირსშესანიშნაობები დამათვალერებინე... თუ გცალია, — სხვებისგან განცალკევებულად მიდიოდნენ გოგია და თიკა.

— რეპორტაჟისთვის გჭირდება მასალა? — ჰკითხა თიკამ.

— არა, ჩემთვის... გავიცნო მინდა უკეთ, — გადათოხნილი მინდორზე წვალეთით მიამბიჯებდა გოგია.

— რა სიზმარი გაქვს ასეთი ნანახი?.. — გაიცინა თიკამ.

— საიდან დაიმახსოვრე?.. — გოგიასაც ჩაეცინა, — ზოგ სიზმარს დიდი ძალა აქვს.

— შენ ცოლი გყავს, ქეთო, — უთხრა თიკამ, — და შეილებიც გყავს.

— დაგუგულე? — ოდნავ უკმეხად გამოუვიდა თქმა გოგიას.

— არა, თბილისი პატარა ქალაქია... შორიდან გიცნობ.

— მე არც შორიდან გიცნობდი... ჰოდა, მინდა, ახლოს გავიცნო, — თქვა გოგიამ და ფეხი ამოიბრუნა ბელტზე, კინაღამ დაეცა.

თიკას გაეცინა.

— ხედავ, არ არის კარგი იდეა, მიწამაც გაცვა პასუხი, — მარჯვედ მიამბიჯებდა ნათოხნ მინდორზე თიკა. გოგია უკან ჩამოიტოვდა.

— ერთ ექსკურსიას ნუ დამამადლი, — უკან მიჰყვებოდა გოგია ოდნავ კოჭლობით, — კარგი სიზმრის ხატორით მაინც დამიმასხურებია, — მიამბიჯებდა მდებლოდან გადასულ, სახლს მიახლოებულ თიკას, რომელიც შედგა და დაელოდა დონჯემოყრით.

— რა სიზმარს მისდევ ამისთანას? — ღიმილით, დაკვირვებით უყურებდა თიკა.

— ომში წავალ ამ სიზმრისთვის, — ტალახს იწმენდა ბათინეებიდან გოგია.

— არ გინდა ომი... კარგი, იყოს ერთი ექსკურსია მისი ხატორით, — პაუზის შემდეგ უპასუხა თიკამ და სახლში შესასვლელი კარისკენ დაიძრა.

თიკას გოგიაზე რალაცები სმენოდა. ქეთოზე და შეილებზეც იცოდა და მისი გადაღებული რამდენიმე დოკუმენტური ფილმიც ჰქონდა ნანახი, გოგიამ კი თიკასი არაფერი იცოდა.

თიკა ვერაზე დაიბადა და გაიზარდა, ქვედა ვერაზე, ქუჩიშვილის ქუჩაზე. მყუდრო, პატარა ქუჩაზე. ბაღშიც იქვე დადიოდა. ვერის აბანოს და ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის გამყოფი კიბით ჩაჰყავდა დედას, ნუცას, ყოველი დილით კოსტავაზე. გზად ჯერ მესაათების დიდ ვიტრინასთან ჩავილიდნენ ხოლმე, სადაც მოხუც კაცებს ცალ თვალზე გამადიდებული ჰქონდათ მორგებული ანდა ლუპით ჩაჰკირკიტებდნენ დაშილი საათებს და საქმიანად ჩხირკედელობდნენ მაგიდაზე დალაგებულ დეტალებში. საბავშვო ბაღის კარის გვერდით, „ზინგერის“ მანქანებს ფეხის მონოტორული დაჭერთი ამუშავებდნენ მკერავი ქალები და კაცები დაბურული შუშების მიღმა. ფართო მაგიდებზე გამოხლეს სხვადასხვა სახის და ფერის ქსოვილებს ჭრიდნენ, „დასტროჩიკის“ და ცარკით მონიშნულს, უზარმაზარი მაკრატლებით. ბაღში შესასვლელი ლურჯი კარის თავზე მემორიალური დაფა იყო გაკრული ზედ ამოტვიფრული სიტყვებით, რომ თურმე სიკვდილის წინ, ბოლო ხანს, ამ პატარა სახლის პატარა ოთახში უცხოვრია ვაჟა-ფშაველას. ასოების ამოცნობა ამ დაფიდან დაიწყო თავიდან თიკამ, დედას როცა მიჰყავდა ხოლმე ბაღში და როცა ცდილობდა, გაერჩია თეთრ დაფაზე ჩაყვითლებულ დადარჩენილი სიტყვები. ვაჟა-ფშაველასაც მაშინ დაუბეგობრდა, ჯერ რომ არც ჰქონდა ნაკითხული „შვლის ნუკრის ნამბობი“, ყელმოღერებით რომ ასცქეროდა და ბეჯითად რომ წვალბოდა დაფაზე გამოყვანილი მისთვის უკვე ნაცნობი ასოების ნაკითხვას. კარგად არ ჩანდა დაძველებულ დაფაზე ნაწერი, „ვაჟა-ფშაველა“ ამოიკითხა და ამბობდა ხოლმე არასწორად, რის გამოც დედა ბევრს იცინოდა და რამდენჯერმე თავდაც ასე წამოსცდა მშობელთა კრებაზე საუბრისას ვაჟას სახელი.

დედაც — ნუცა და მამაც — აჩიკო, რესტავრატორები იყვნენ. ძველ, შესტისგან ჩაყვითლებულ და დროისგან ნეულებულ ფრესკებს აღდგენდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში. თიკასაც, ერთადერთ შვილს, თან დაატარებდნენ ექსპედიციებში, სვანეთში იქნებოდა თუ ზემო აჭარაში. მიუხედავად ოთხმოცდაათიანი წლების გაჭირვებისა, შეკვეთებით ხშირად ჰქონდათ.

სკოლაში ოშვითად უწევდა ყოფნა ამ მიზეზით თიკას, თუმცა იქაც სწავლა შეფერხებით მიმდინარეობდა ომების და არეული დროის გამო. ორმოცდამეცამეტე სკოლაში სწავლობდა. როგორც საბავშვო ბაღის და ჩარჩა მესსიერებაში, ასევე ჰქონდა დამახსოვრებელი ქუჩიშვილიდან ზიგზაგად მელიქიშვილზე ახვეული როდენის ქუჩა, საიდანაც გადადიოდა ხოლმე ჯანაშიას აღმართისკენ და მერე გუდაურით აგრძელებდა გზას...



დასასრული

„საიდან და რატომ გამახსენდა ამდენი გზა ჩემი „სასწავლებლების კენი?“ — საკუთარ თავში ვერ გარკვეულიყო თიკა. სახლში შესულმა რაღაც მოიმიზეზა და ოთახში ავიდა. რატომღაც ბევრს ფიქრობდა გოგიაზე: „კინალამ ამირია ფიქრები“ — ეცინებოდა ტალახიანი ბოტების გახდისას — „კოტე ჩამოვა ხვალ-ხევა... გოგია?... კარგი, მაგას ვაგვარკვევ, რა და როგორ... მაგრამ ეს ბავშვობის გზების სურნელი საიდან ასე მძაფრად?.. კიდევ ერთი ბალი იყო საბავშვო“ — ცალი ბოტი შერჩა ხელში გახსენებისას — „სადაც სულ ერთი დღე გავატარე და რომლის გვერდით ჩავლი-სასაც მახვილივით... ეს სიტყვა საიდანღა მოვიდა, მაგრამ ეტყობა ეგ არის... განც-

ეგრე ავიხდეს. ივდა გოგია დახლთან სიგარეტის ბულში გახვეული და დააყარა სიცილი თიკამ. — ძალიან დემონურად გამოვიყურები? — რაღაცას მიუხვდა გოგია, — როგორი გემრიელი სიცილი გაქვს, — თვალმოუპორებლად უყურებდა. — სიცილიც ხომ არ დაგესიზმრა? — აგრძელებდა კისკისს თიკა. — სიცილიც იყო დაუფინყარი, ხმაც და... მოიცა, — ეხლა გოგიას აუტყდა ხარხარი, — შენ ნანახი გაქვს ბუნიუელის „ბურ-უზაზის მოკრძალებული ხიზლი“? — არა, — უპასუხა თიკამ და ოდნავ მოითქვა სული. — იქ პერმანენტულად იჩითება ერთი ჯარისკაცი, რომელიც ყოველ ჯერზე საკუთარ მძიმე სიზმრებს უყვება კაფეში სვეცკ-

რეზო თაბუკაშვილი

# კარტი თავაშის პოლომდა არ იყრება



და მეჯახება ყოველ ჯერზე... ხანდახან არშემჩნევას ვცდილობ ხოლმე მანდ მოხვდრისას, გვერდი მინდა ხოლმე ავუარო ამ მომრგვალებულ ასახვევს გულგრილად, მაგრამ, „მოდი აქ!“ — მეძახის და მექაჩება თავისკენ... რაღაც საიდუმლოა იქ... თან კარგია, თან სახიფათო... იმ ბაღში მხოლოდ ერთი დღით მიმბარეს, რადგან ჩემსაში ტილები და კარანტიანი იყო, და კი დამიტოვა თავისთან მიჯაჭვულად მთელი ცხოვრება... —

ად შეკრებილ ქალებს... და ისინი სულ დათესვას ლამობენ მისგან და მისი შემზარავი სიზმრებისგან... მას ნუ მიმამსგავსებ... — არა, შენ რაღაც კარგი გინახავს და შენი იყოს... მე სიზმრებით ასეთი მოჯადოებული ვერ ვარ... შენი სიზმარი შენია, — ჩამოჯდა სკამზე თიკა, — ჭამე? არავინ იყო ფოიეში დახლიდარის გარდა, რომელიც ჩქიქებს ამშრალდება ზურგშექცევით და ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი ესმოდა მათი საუბრისა. დანარჩენები, ყველანი, სასადილოდ იყვნენ გასულები.

თიკა ორჯერ იყო გათხოვილი. პირველად ძალიან პატარა, ცხრაშვიტი წლისა მოიტაცა კოკამ. ერთად სწავლობდნენ სამხატვრო აკადემიაში. თიკასაც უყვარდა, არც სჭირდებოდა მოტაცება, გაჰყვებოდა ისედაც, მაგრამ მოტაცებაც მოეწონა, რაღაც რომანტიკულად მოეჩვენა მაშინ... სამ წელიწადში გაქრა გრძობა ორმხრივად. უკონფლიქტოდ დაშორდნენ ერთმანეთს. ბავშვი არ გასჩენიათ. არც მეორე ჯერზე გაუჩნდა, როცა გუისი გაჰყვა, მასზე ოდნავ უფროს, ცოლგანსორებდა, საქმოსან და შეძლებულ ბიჭს, რომელსაც რამდენიმე „ავტობიზნეს ცენტრი“ ჰქონდა ქალაქში. ლალი და მომხიბვლებელი იყო გუიკი... სანამ პათოლოგიური ექვიანობა არ დაიწყო, რამაც დალენა თიკა: „პოსლუზე“ გახსენებული დეტალების გარჩევა, ყოველი ზარის გადამოწმება ტელეფონში და ბოლოს უკვე ხელით შეხება, რაც აღარ აპატია და წამოვიდა... —

— კი, წავიხეგე. — მოგონს აქ? — იდაყვით ჩამოეყრდნო თიკა დახლს. — ვერ მატყობ? — უთხრა გოგიამ, — როგორ მოახერხე ამხელა საქმის დაძვრა? — მამა დამეხმარა და დედაცო... და კოტე კიდევ, ჩემი... ეხლა გვერდში მიდგას ცოტას... — ნითელი ღვინის დასხმა ითხოვა თიკამ, — ერთ-ერთ საერთაშორისო სარესტავრაციო პროექტში გაიმარჯვეს მშობლებმა, რომელსაც იუნესკო აფინანსებდა და მთელი ჰონორარი აქაურობას მოვახმარეთ. ხშირად ჩამოდიან დედა და მამა აქ. თავად თბილისის სახლი გაყიდეს და რაჭაში დასახლდნენ. გემრიელი, კარგად შენახული ძველი სახლი იყიდეს. არიან რაჭაში ტკბილად. — ბევრი გარბის თბილისიდან, — თქვა გოგიამ, — აღარ დავიწყებ მოყოლას, რამდენად უცხო გახდა თბილისი... უკვე მოსაბეზრებელია ამ თემზე ლაპარაკი... გაგიტყნა თბილისი და მოხი? — ჰკითხა მერი. — არა, რატომ, — ნაწყენივით ჩაილაპარაკა თიკამ, — სწორედ ეხლა ვიხსენებდი ჩემი ბავშვობის ქვედა ვერას, ქუჩისფერის ქუჩას... და კიდევ რაღაცებს. — ეს პატარა იარა გიხდება, — წარბს ზევით მიაღო თითი გოგიამ, — და კოტე ვინაა? — ეს შენი საქმე არ არის... რაღაც ხდება შენს თავს და სხვაგან ეძებ პასუხებს, — თქვა თიკამ, ადგა და წავიდა. — ბევრი მიზეზი აღარ სჭირდება გოგიას, ამთავითვე იცოდა, რომ ყველა ვარიანტი თიკას მხარეს დაიჭერდა, მიუხედავად იმისა, რომ კოტეც არსებობს... ამ ლევანასაც პირადად არაფერს ერჩოდა, ოღონდ მტრულად კი განეწყობოდა თიკას გამო... ჰო, ამ რაღაც ჯადოსნური გოგოს გამო, რომელიც ჰგავდა სიზმრისას... და ქეთო?... რომელიც ყველა დასიზმრებულზე მეტი არის?..

როგორ გიჟურად დაუქრის ფიქრები? ბაღნობიდან დაწყებული, შემდგომ გაგრძელებული და არც დამთავრებული, ერთად აყრიან აქედან-იქიდან... თავის ლუნასთან ჩავა, მიეხუტება და ლუნა ეტყვის თვალების ფახუნით, რომ თიკა კარგი და მაგარი გოგოა... და კოტე?... რომელიც სამი თვის გაცნობილი ჰყავს და ერთად არიან... და ეს გოგია?... რას იტყვის ლუნა?!. კოტე კარგია და კახეთის ამბავშიც ყოჩაღად ეხმარება... და ამ გოგიასაც ცოლი ჰყავს და ინკუბატორი ბავშვები!.. და რა უნდა რო ამ გოგიას?!

„გავრეკე“ — შორს მოისროლა მეორე ბოტი და მიეგდო ლოგინზე. „გოგია, წესით, უნდა იჯდე ეხლა დახლთან და მრავალმნიშვნელოვანად ჩაფიქრებული სვამდე ჩაჭას მოზომილად და ურტყამდე „დუგლას“ ნაფაზებს — გადაიხარხარა — ნახე, თუ ცვდებოდე“ — წამოხტა უცბად. ნაქსოვი, ჭრელი თბილი კაბა გადაიცვა და ჩაქროლდა დაბლა.

როზმორ გინდა, გაიპარო ახლა აქედან?! თუმცა ახსნა-განმარტებების თავი არ მაქვს, უნდა გავიპარო და მორჩა. გადაცემის დროც არ რჩება, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რა მეცმევა?! ახლა მთავარია, გავიქცე თუნდაც სადედოფლო მორთულობით, ან შიშველი, მაგრამ შიშველს ეს ნაჭრები სჯობს, რამდენი ვარჩიე, ახლა კი უბრალო მოსაცმელი გახდა ჩემთვის.



არადა, ზუსტად ხუთ წუთში სვეტიცხოველში უნდა წავსულიყავით და ჯვარი უნდა გვეფსკვნა. სახლში არეულობაა — დაქალები, ნათესავები ისე ესაუბრებიან ერთმანეთს, ისეთი გნისია, როგორც ბაზარში წინა საახალწლოდ. ჩემთვის არავის სცხელა, ან იქნებ სცხელათ კიდევ, მაგრამ, აბა, ვინ წარმოიდგენს ახლა, რას ვაპირებ. კარს ვაღებ, კიბზე ჩავრბივარ. აი, ლიმუზინიც აქვია, თოჯინით, არადა გავაფრთხილე, გომობაა, არ დამანახო-მეთქი. ალბათ მეც თოჯინა ვგონივარ, ჰოდა, ჰყავდეს ახლა ეს კულა! იქვე შუქნიშანია. ვხედავ, ნითელ შუქზე ცარიელი ტაქსი დგას. კარს ვაღებ და უკანა სავარძელზე ვწვები.

რე და ანგარიშის ნომერი დამიტოვე, ხვალ ფულს ჩაგირიცხავ! — გავეცი ახალი ბრძანება.

როგორც კი მწვანე აინთება, გაზს ბოლომდე მიანეკი, აქედან, რაც შეიძლება, შორს წადი! ხვალ ას ლარს ჩაგირიცხავ ანგარიშზე! — ვამბობ.

— გაქცეული პატარალი? — იცინის. — თქვენი საქმე არ არის! — მინდა, გითხრა, დიდი ვერაფერი ფილმია! — რას უნუნებ? — ლამაზი ქალი სჯობს, თუ როგორ ითარგმნება? — ლამაზმანი! — მინდაც მარშალია, ხო, რეჟისორი? თან იგივე სასტავია მსახიობების. — კი, გარი მარშალი! — ვამბობ და თან მეცივება.

მძლოლი ჩემკენ ბრუნდება და ყელმოდერებული ზემოდან დაახლოებით ისე მიყურებს, თითქოს უცხოპლანეტელი დაენახოს. ახლა, შეიძლება სელფიც მთხოვოს — გადავილოთო. როგორია სელფი უცხოპლანეტელთან? უი, კამერები. ალბათ რომელიც კამერაში გამოვჩნდი, რომ აქ ვარ. მანქანა, რაც შეიძლება, მალე უნდა გამოვიცვალო. თუმცა ჯერ არც დავძრულვართ, ანუ ისევე ნითელი ანთია, არადა, ცოტა ხანში განგაში გამოცხადდება და ძებნას დამიწყებენ... მოიშალა ეს შუქნიშანი თუ რა ჯანდაბაა? ტაქსისტი კი, გაბურძნული, წვერგაუპარსავი ტიპი, ისევე მე მიყურებს.

მანქანების სიგნალები მესმის, მაყრიონი ხომ არ დაიძრა? სულ მინდოდა, ეს ხმა მომესმინა ჩემს ქორწილში. რა ქორწილი, უპატარდო ქორწილია, დაუკარო! ისევე ვდგავართ, არადა, ეტყობა, მწვანე აინთო, ანუ სხვებს ვუშლით. გაბურძნულმა, როგორც იქნა, თავი მიატრიალა და დავიძარით, თუმცა დროდადრო კვლავ გადმოხედავს. ცოტა ხანში ვეკითხები: — მოგვდევენ? — სარკეში იყურება, ხან მე გადმოხედავს ისევე.

მანქანების სიგნალები მესმის, მაყრიონი ხომ არ დაიძრა? სულ მინდოდა, ეს ხმა მომესმინა ჩემს ქორწილში. რა ქორწილი, უპატარდო ქორწილია, დაუკარო! ისევე ვდგავართ, არადა, ეტყობა, მწვანე აინთო, ანუ სხვებს ვუშლით. გაბურძნულმა, როგორც იქნა, თავი მიატრიალა და დავიძარით, თუმცა დროდადრო კვლავ გადმოხედავს. ცოტა ხანში ვეკითხები: — მოგვდევენ? — სარკეში იყურება, ხან მე გადმოხედავს ისევე.

— მე, ბებიარქმთან! — ისე, ცოტა ზრდილობა არ განეყენდათ! — უზრდელობა სად შემამჩნიეთ? ა, ხო ბებიარქმთან-მეთქი, მართლა ბებიარქმთან მივიღივარ, თან მყუდრო ადგილი თუ გინდათ, ბებიარქმია მყუდრო ადგილას! — ანუ სასაფლაოზე? — სასაფლაოზე რატომ? — გაკვირვებულმა გადმოხედა. მთლად ნორმალური არ უნდა იყოს, — სასაფლაოზე რა უნდათ? საქმრო — სექსუალური მანიაკი და მორფინისტი, ტაქსის მძლოლი — შერეკილი! ვინ მისცა ამას მართვის მოწმობა? ნეპოტიზმით ექნება ალბეული. ბევრი კითხვა რომ არ დასვას, პირდაპირ ვუხსნის: — მოკვდა ალბათ! — და რატომ უნდა მომკვდარიყო? — რა ვიცი, რატომ კვდებიან! — ბებიარქმი, კატო, იგივე ეკატერინე, არის ყველაზე ცოცხალი ბებია და, ამასთან ერთად, არის სიმყუდროვის გარანტი დედამინაზე — დღეს ხუთჯერ დამირეკა, აუცილებლად მოდი, რაღაცა გიყიდე! ახლა ზუსტად იქ მივიღივარ! — მარტო ცხოვრობს? — მარტო რატომ, ტიტკოსთან ერთად! — ტიტკო ვინლაა? — ტიტკო თუ არ იცი, ბევრი დაგიკარგავს! — ბაბუაშენია? — არა, ბაბუაჩემი არ არის, თუთიყუშია, თან — გოგო.

— ქუჩა სავსეა მანქანებით, როგორ გავარკვიო, რომელი მოგვდევენ, რომელი თავის გზით მიდის! — ჩვენ უკან არის ვინმე? — კი. — ვინ? — ვინ არა, უფრო სწორად რა! — და რა? — ხალხით სავსე მარშრუტკა, ნომერი სამოცდაჩვიდმეტი!

— მინდა, ვუთხრა — გადააგდე სავარცხელი, მაგრამ ამ ტიპს შანსი არ არის, სავარცხელი და მაკრატელი ჰქონდეს და თუ აქვს, მით უმეტეს, არ უნდა გადააგდოს. თან ჩემი საყვარელი ციფრია შვიდი — შვიდში დავიბადე, დღესაც შვიდია და უნდა მექორწინა. გამოვერკვიე ფიქრებიდან: — ისინი, არა მგონია, მე მომდევენენ! — ვამბობ.

— ქუჩა სავსეა მანქანებით, როგორ გავარკვიო, რომელი მოგვდევენ, რომელი თავის გზით მიდის! — ჩვენ უკან არის ვინმე? — კი. — ვინ? — ვინ არა, უფრო სწორად რა! — და რა? — ხალხით სავსე მარშრუტკა, ნომერი სამოცდაჩვიდმეტი!

— დროა, მანქანა შევიცვალო. ვინმეს შეეძლო, დავენახე, როგორ ჩავჯექი, უფრო სწორად ჩავენეკი ამ მანქანაში. — პირველივე შესახვევში მოუხვიე! — მარცხნივ თუ მარჯვნივ? — სულერთია! უცებ მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ. ამას იმით მივხვდი, რომ მარცხნივ მოვცურდი და კარს თავით მიველენე. მახსენდება, კითხვა იყო ფიზიკის საატესტატო გამოცდაზე, მანქანამ მოუხვია მარჯვნივ, საითკენ გადაიხრება მგზავნიო. მგონი, ეს ვიციდი მხოლოდ ზუსტად, დანარჩენი ისე ალალ-ბედზე მოვნიშნე, გამიმართლა. იქ კი გამიმართლა, მაგრამ ცხოვრების უმთავრეს გამოცდაზე მწარედ ჩავიჭერი. — ცოტა ნელა, ე, კარტოფილი ხომ არ მიგაქვს?! — ნეტა კარტოფილი მიმქონდეს! — ჩაიბუტბუტა.

— დროა, მანქანა შევიცვალო. ვინმეს შეეძლო, დავენახე, როგორ ჩავჯექი, უფრო სწორად ჩავენეკი ამ მანქანაში. — პირველივე შესახვევში მოუხვიე! — მარცხნივ თუ მარჯვნივ? — სულერთია! უცებ მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ. ამას იმით მივხვდი, რომ მარცხნივ მოვცურდი და კარს თავით მიველენე. მახსენდება, კითხვა იყო ფიზიკის საატესტატო გამოცდაზე, მანქანამ მოუხვია მარჯვნივ, საითკენ გადაიხრება მგზავნიო. მგონი, ეს ვიციდი მხოლოდ ზუსტად, დანარჩენი ისე ალალ-ბედზე მოვნიშნე, გამიმართლა. იქ კი გამიმართლა, მაგრამ ცხოვრების უმთავრეს გამოცდაზე მწარედ ჩავიჭერი. — ცოტა ნელა, ე, კარტოფილი ხომ არ მიგაქვს?! — ნეტა კარტოფილი მიმქონდეს! — ჩაიბუტბუტა.

ვითომ არ გამიგონია. მართლაც რას ვერჩი ამ ბიჭს, თავსატეხი გავუჩინე, ამის გაბურძნულ თავს კიდევ ეს უნდოდა? თან მე თვითონ ვუთხარი, მოუხვიე-მეთქი. — სადმე მიყრუებულ ადგილას გააჩე-

— ტიტუკო რატომ ჰქვია?  
 — რა ვიცი, ორი წლის წინ მოფრინდა ბებიასთან. თავიდან ბიჭი ეგონა, ჰოდა, ტიტუკო დაარქვა, მერე ფრინველების მალაზიაში ჰყავდა და აღმოჩნდა, რომ გოგოა, სახელი კი ისევე ტიტუკო შერჩა, მაინც სულ ტიტინებსო.

— შენ სადა ცხოვრობ? — დავსვი კითხვა, არადა, სჯობდა, ენაზე კბილი დამეჭირა, რაში მაინტერესებს, სად ცხოვრობს ეს გაბურძენული ტიპი!

— მე — ბაბუაჩემთან! — მპასუხობს. გადამრევეს ეს ტაქსისტი, მაგრამ ახლა ვეღარ ვფიქრობ უკვე, რომ უზრდელობს ან ღადაობს, ანუ მართლა ბაბუამისთან ცხოვრობს. გამოდის, რომ ბებია და ბაბუა ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ადრეც ინგრეოდა ოჯახები, ნუ ეს შექმნის მერე, მე კი შექმნამდე დავანგრევი, ასე სჯობს — სჯობს ადრე, ვიდრე გვიან.

— გაყრილები არიან?  
 — გაყრილები არანაირად, იმიტომ რომ შეყრილებიც არასდროს ყოფილან! — იცინის.

— ა, ვხვდები, მგონი — დედის დედა და მამის მამა, ხო?

— ყორჩა, უნარებს მარტივად ჩააბარებ! მაინც რა არის ადამიანი, სიამოვნებს შექება გაბურძენული ტაქსისტისგანაც კი. მართლა ხომ არ ნაყვევ ბებიაამისთან? ძებნას დამიწყებ, ნაცნობებთან რომ არ ვიქნები, სასტუმროებში გადავრეკავ, ან სასტუმროში ასე უპასუროტოდ და უფულოდ ვინ მიმიღებს? მგონი, კარგი ვარიანტია.

— უხერხული არ იქნება, ბებიაშენს დაუპატიჟებლად რომ მივადგე?

— რატომ იქნება უხერხული, სტუმარი უყვარს, თან ძან მაგარი ბებო მყავს, აი, ნახავ!

— უცებ მისი ტელეფონი რეკავს. ტაქსისტი ნომერს დახედა.

— ამას, მგონი ჩვენი ესმის! ხო, ბებო, მოვედივარ! — უპასუხა და პასუხს არც დალოდებია, გათიშა.

როგორ ვენდო ამ გაბურძენულს, მაგრამ მაქვს კი სხვა ვარიანტი?

— მისმინე, მაშინ, მოდი, მანქანა გააჩერე სადმე ისეთ ადგილას, კამერები და ხალხი არ იყოს. სხვა ტაქსიში გადავსხდეთ!

— იქნებ არც არავინ მოგდევს? — ეციხებოდა.

— რაც ვითხარი, გააკეთე!

— ვაჰ, რა გადარჩენილია ის ბიჭი, შენ ვინ გაგიძლებს?!

— ამაზე შენ ნუ ინერვიულებ, მალე დაბერდები!

— იქნებ ის შენი საქმროც ახლა თავი ქუდმოგლეჯილი გარბის! — არ ისვენებს.

ბედი არ გინდა — გაბურძენული ტაქსისტის დასაცინიც გავხდი. სჯობს, თავის თავს მიხედოს — პირდაპირი მნიშვნელობით! იმას აღარ ვამბობ, რომ სასიძოს სად აქვს გაქცევის თავი, ბოლოს სავარძელში მისვენებული და ვენაში წამლაგაჩხერილი დაინახე. მანქანამ შეუხვია და გაჩერდა.

— სხვა მანქანას რომ გააჩერებ, მანიშნე და გადმოვალ!

მანქანიდან გადავიდა თუ არა, დამუხრუჭების ხმა მომესმა. ალბათ მოგვედგინენ. მეცოდებოდა ეს გაბურძენული ტიპი, ნიხლქვეშ არ გაიგდრონ ჩემ გამო. თავი წამოვწიე, ვხედავ ვილაცხვ ვადაეხვია. დიალოგი მესმის:

— მანქანას ჭირს რამე?  
 — მანქანას — არა, მე!  
 — შენ რა გჭირს?  
 — მანქანაში კლინტი მყავს, ბებიაჩემთან უნდა მიგვიყვანო შენი მანქანით!

— აბა, სადა? — მანქანას აკვირდება.

— წამოწოლილია სავარძელზე!

— ბაზარი არ არის, ძმა, ნავედიო!

— უკანა კარი გააღოს! — ვიძლევი ბრძანებას მანქანიდან.

ჩემი (უი, ჩემი გახდა) ტაქსისტი ადებს ახლადგამოჩენილი მეგობრის მანქანის უკანა კარს, მერე თავის მანქანასთან მოდის. მე იამაიკელი სპრიტერი როა, უსაინ ბოლტი, იმის სისწრაფით ვინაცვლებ ახალ მანქანაში. ახლა იქ წამოვწიე. ისინიც ჩასხდნენ. ის, მეორე, წამით ჩემკენ შემობრუნდა და მიყურებს. ვხვდები — ეს-ესაა, ყბა ჩამოუვარდება. ისევე მიბრუნდა.

— პატარძალი? — ჩუმად ეკითხება, მაგრამ მესმის.

— ნავედით დროზე! — ვიძლევი ბრძანებას.

მივდივარ. წამოწოლილიც ვამჩნევ,

ჩემს ტაქსისტს ძმაკაცი ხელებით როგორ ანიშნებს, ვინ არისო. ისიც ხელებით პასუხობს, აზრზე არ ვარო. ძმაკაცმა, ამას ვინ ჭამსო, თან ცერა თითს სწევს, ანუ ჩემზე — კარგი გოგოაო. კარგობის რა შეამჩნიეო, ტაქსისტი ეკითხება, ისიც ხელებით, უკვე აღარაა ჩემი, ვხედავ, საფეთქელთან ატრიალებს უკვე ბურღივით, ანუ ეუბნება, მგონი, აფრენსო.

— მანდ, თქვენ, მორჩით რა ჩემზე ჭრაობას! — ვამბობ. დამიჯერეს. ეს კია, დროდრო ტაქსისტი გადმოშედავს და ილიმის. მაცალოს ამ გაბურძენულმა, როგორ უთხრა ჩემზე — აფრენსო?! საკმაოდ ვიარეთ. მგონი, იმდენად საშიში აღარ არის უკვე. წამოვიწიე, ამასობაში თურმე თბილისის გავცდით. მანქანამ ზაჰესთან მცხეთის გზაზე გადაუხვია, სვეტიცხოველიც გამოჩნდა, ხუთზე იქ ჯვარი უნდა დამენერა. მამა გიორგი, ჩემი მოძღვარი, მელოდება. მანქანის საათს ვუყურებ, ოთხის ნახევარია.

მტკვარზე გადავხდები და ვაფრენი. ცენტრალური ქუჩა გავიარეთ. მანქანა ღამაზე, ორსართულიან სახლთან ჩერდება. მოვედითო, გაბურძენულმა. დამელოდებ, მალე ჩამოვალო — ძმაკაცს ეუბნება და მანქანის კარს მიღებს. რა ჯენტილმენია! ჩაცმულობა კი არაა ჯენტილმენური აქვს — დახეული ჯინსი აცვია და მაისური, ბურნუთას რომ ცვეცა ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“, ზუსტად ისეთი. ეზო კი ყვავილებითაა სავსე და ვარდის სურნელი დგას.

კიბით მეორე სართულზე, აივანზე, ავდივართ.

— ბებო, სად ხარ?  
 — მოხვედი, შე სალახანა? ბიჭო, რამდენჯერ უნდა დამარეკინო?! — მესმის ხმა.

— აი, ხო მოვედი, ბებო, სტუმარი გყავს!

— უი, მაპატიე გენაცვალე!

მისაღებ ოთახში შევედივართ. იქ სიმპათიური მოხუცი ქალბატონი გვეგებება. სადად მოწყობილი ოთახია — ნათელი ფერები და კედლებზე სურათები. მაგიდაზე გალიაა, გალიაში თუთიყუში — ალბათ, ტიტუკო. ბებო ჩემთან მოდის და ხელს მართმევს.

— ბიჭო, შე ეშმაკის ფეხო, ცოლი მოიყვანე? რა ღამაზია! აკი შეყვარებული არ მყავსო?!

— ბებო, ეს ის არ არის, რასაც შენ ფიქრობ!

— შენ რა იცი, მე რას ვფიქრობ? ტიტუკო, ხედავ, ფიქრსაც მასწავლის!

— სალახანა! სალახანა... — ყვირის ტიტუკო.

— ჰო, კარგი ტიტუკო, უხერხულია, სტუმარი გყავს მაინც, ყველაფერს საკუთარ სახელს ნუ დავარქმევთ!

ტიტუკო, რა ვიცი, შერცხვავო თუ რა, თვალზე ფრთებს იფარებს. მერე, ეტყობა, დავერტინადიო და ერთ სრულ ბრუნს აკეთებს გალიაში გარჭობილ მანქანაზე ჯოხზე. იმდენად საყვარელია და სასაცილო, ღიმილს ვერ ვიკავებ. ბრუნდება, ზურგს გვაქცევს და რალაცას ჟღურტულებს. სიტყვებსაც ვარჩევ: „გვეშველება, გვეშველება... ამით ხელში გვეშველება... გვეშველება...“ ტიტუკო თავი გაავანებო, მე რა მეშველება. ან სახლში რა ხდება ნეტა ახლა? კიდევ კარგი, დედა ცაშაა, მეორედ მომიკვდებოდა, მამას კი მაინც არ ევასებოდა ის ტიპი. დავურეკავ, არ ინერვიულოს, ოღონდ ახლა არა, ცოტა გვიან, ჩანყნარდეს ყველაფერი.

— ამისგან ვერაფერს გავიგებ, გენაცვალე, შენ მაინც მითხარი, რა ღამაზი სადელოფლო კაბა გაცვია, ჯვარი დაინერეთ?

— არა, ქალბატონო, მაპატიეთ, რომ განუხებთ. თქვენთან მოვედი, ცოტა ხნით რომ შემეფაროთ. საკუთარი ქორწილიდან გამოვიპარე.

— შეილო, როგორ არ შეგიფარებ, არავის გავატან შენს თავს, ალბათ ვინმემ განყენინა, ხო? ვინმემ რა, ალბათ საქმრომ. დიდი ვიგინდარა უნდა იყოს, შენ რომ გაგაბრაზა! მომიყვები ერთი, აბა, რა მოხდა!

— დივანზე მსვამს, გულში მიხუტებს და თმებზე მეფერება. რალაცანიარი სურნელი ასდის — ოჯახური, თბილი, სასიამოვნო. ზღაპრებიდან გადმოსულ ბებოს ჰგავს. ღამის ავტირდებ, ბებოსი არ მრცხვენია, ამ ტაქსისტის მერიდება!

— გავიდეს ეს და მოვეყვები!

— სულ ნავალ, ქვემოთ ძმაკაცი მელოდება, თან მანქანას უნდა მივაკითხო!

— სად წახვალ, ბიჭო, ასე ტოვებ სტუმარს, თან ის მაინც არ გაინტერესებს, რატომ დაგიბარე?

— სალახანა, სალახანა... — ყვირის ტიტუკო.

— შენ მაინც გაჩუმდი, შე ქალო! — ახლა ტიტუკოს უბრუნდება ტაქსისტი.

— გვეშველება რამე, გვეშველება რამე... — აგრძელებს ტიტუკო. უცებ ბებო ფრანგულად ალაპარაკდა.

— *Il est belle, tu ne l'aimes pas?*

რა კარგია, რომ ფრანგული ვიცი.

— მომწონს კი არა და შენ რომ ამისთვის გზამი გესმინა ასე არ იტყვი! — ამბობს გაბურძენული, ისიც ფრანგულად, თან მიყურებს და იცინის.

მოიცა, გზამი ისეთი რა ვთქვი? ბებო გახსენებას არ მაცდის, ისევე ფრანგულად აგრძელებს:

— ნუ ბოდილობ რალაცას, ვხედავ რომ მოგწონს. გეტყობა, მოხარულს გიცნობ, თვითონ უფალმა შეინუნა შენთვის თავი და გამოგიგზავნა, ცოლად მოიყვანე!

— კარგი ხო, ვთქვით, მე მომწონს, მერე გოგოს არ ეკითხები?! — ისევე იცინის ტაქსისტი.

— გოგო სადელოფლო კაბით პირდაპირ მანქანაში ჩაგიხტა, მეტი რა ქნას?!

— ეს შემთხვევითობა იყო და გამოუვალა მდგომარეობა!

— დეგენერატი, მოსწონხარ, კი არ მოსწონხარ, უყვარხარ! ამას უტყუარს გეუბნები, ისე მიყურებს! ქალის ამბავს მე მასწავლი? მისმინე, საოცრება გიხვამა! იცი, რატომ დაგიბარე? ნუხელ ბაბუაშენი ვნახე სიზმარში, წაიღე და ბიჭს ჩოხა-ახალუხი უყიდე, ზუსტად ისეთი, მე რომ ქორწილში მეცვა, დღეს შუადღით დასჭირდებო — იქიდანაც დავტყავს მამადებს! ჰოდა, რა მექნა, მოვიტანე, აჰა — დაგჭირდა, კიდევც?! ახლა გადიხარ, ბანაობ, წვერს იპარსავ, კაცს დაემსგავსები, გამოეწყობი და გამოიხვალ!

— კარგი რა, ბებო, გინდა, გვალადაოს?!

— რომ ვვკვებოდე ახლა, ერთ ნატვრას შემისრულებ?!

— ჰო, კარგი, არ მოკვდი, ისე შეგისრულებ ერთ ნატვრას!

— ჰოდა, შემისრულე. გადი და მონესრიგდი, ჯვარი უნდა დაგნერო!

— ვაჰ, კაცო, გამიგოჯა ბებია. სულ ჩემი ბრალია რა, ხო ენთო ყვითელი, ნავსულიყავი, ამ შარს ხო ავცდებოდი?!

— ჰოდა, წაუსულიყავი, მე გაგაჩერე?!

— ვამბობ მეც ფრანგულად.

ორივე გაკვირებული მიყურებს, თვითონ რომ იციან, ვითომ რა, მეც გამიკვირდეს?

— უიმე, გენაცვალე, ფრანგულიც იცი? ჩემი ანგელოზი! — ქართულად მეუბნება უკვე ბებო და გულში მიხუტებს.

ტიტუკო სხვა ოთახში გადის. მე და ბებო დივანზე ვსხედვართ და ვუყვები, როგორ უნდა დამენერა დღეს სვეტიცხოველში ჯვარი ბიჭთან, რომელიც მეგონა, მიყვარდა. როგორ დავინახე ჩემი დაქალის, რომელიც თან მეჯვარეც უნდა ყოფილიყო, ტელეფონში ჩემი საქმროს სურათი, მესიჯს წერდა. დაქალი ტელეფონში იყო გასული, ტელეფონი მაგიდაზე დარჩა. ვიფიქრე, რალაცა კითხვა აქვს ჩემთან და ვერ მიკავშირდება ალბათ-მეთქი. მესუნებოდა კი წინა, ერთად გატარებული „გიჟური“, ღამის ინტიმურ-სექსუალური დეტალები ჰქონდათ აღწერილი, ბოლოს კი — როდის გავიმეოროთო? ჩემი დაქალი წერდა. მანამდე აქეთ შემოგვიარე, ერთი კუბი გაიკეთეო — იყო პასუხი... ვიცოდი, რომელ ოთახშიც იყვნენ ის და მისი ძმაკაცი და შევედი, იქ კი სასიძო ხელზე ქამარგადაჭერილი დამხვდა — საკუთარი ხელით იკეთებდა ნემსს ვენაში. გაშტერებული თვალებით შემომხედა, ვერაფერი ვთქვი, ტელეფონი იქვე დაუფუღე და ქუჩაში გამოვვარდი...

ამას ვყვები, თან ცრემლებს ვაღვარდვარებ. ბებო მანყნარებს, მაკიაჟს მისწორებს და თმებზე მეფერება. უცებ კარი იღება და ქართულ, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ვილაც ტიპი გამოდის — ძველ ქართულ ფილმებში რომ ტიპებია, აი, ისეთი. უი, ვიცანი, ჩემი ტაქსისტი, დავარცხნილ-გაპარსული, უიმე რა სიმპათიურია, იმ ზღაპარში მეგონა თავი, ბაყაყი რომ პრინცად გადაიქცევა, თან არც მიკოცნია ისე!

— ტიტუკო, ხედავ, ბიჭს როგორ მოუხდა ჩოხა?!

— სალახანა, სალახანა... — ყვირის ტიტუკო.

— კარგი რა, ტიტუკო, აღარ არის სალახანა, თურმე კაცი გყავს ოჯახში! — უხარია ბებოს.

— გვეშველება რამე... — ყვირის ტიტუკომ.

— გვეშველება, ტიტუკო! აბა, ერთად დადექით. უიმე, რა კარგები ხართ, როგორ უხდებთ ერთმანეთს!

— ორი სალახანა, ორი სალახანა... — ყვირის ტიტუკო. ამ თუთიყუშს ხო თავი ვერ მოვანონე, რა!

— გაჩერდი, ტიტუკო, თორემ ჯვრისწერაზე არ წაგიყვან! — ეუბნება ბებო.

— პარდონ, მადამ... — იძახის ტიტუკო და დარცხვნილი თვლებზე ფრთებს იფარებს. ისევე ბრუნს აკეთებს მწვანე ჯოხის გარშემო.

— აბა, მივდივართ. შენი ძმაკაცი ხო გველოდება, შენი მეჯვარე ის იქნება, მე შენი ბებია ვარ და მეჯვარე ვერ ვიქნები. მოიცა ჩემს დაქალს დავურეკო, დარწმუნებული იყავი — ის არასდროს გილატებს! — მე მეუბნება ახლა და მობილურით რეკავს.

— ვერონიკა, გოგო, როგორ ხარ?

— როგორ ვიქნები, კატეკე, ძვირფასო, ტორინოშინმა წააგო! — მესმის ვერონიკას ხმა.

— არა უშავს, ამ ბაშოზე ნახე, ოძეკი თუ არ გახდეს! ქორწილია, შენ მეჯვარე ხარ! გამოენყვე და სასწრაფოდ ჩვენთან გადმოდი. ავტომატიც წამოაყოლე.

— გოგო, სადა მაქვს ავტომატი, ჩემმა უტვინო სიძემ პოლიციას ჩააბარა.

— მაშინ შენ გადმოდი!

...მანქანიანი ძმაკაცი იქვე გველოდებოდა. როცა ასეთი საქორწილო მაცერიონი დაგვიხანა, გაოცებისგან კიდევ ერთხელ ჩამოუვარდა ყბა. ხუთზე სვეტიცხოვლის ხალხით სავსე ეზოში ვიყავით. რა კარგი წყვილიაო, რამდენიმემ-თქვა და გამიხარდა.

უცებ მამაჩემი დავინახე, ჩემკენ მოდიოდა, აღელვებული.

— მა! აქ ხარ? მა, როგორ მომაგენი!

— არსად რომ არ იყავი და ტელეფონიც გამოართული გქონდა, სად წავიდოდა და მოძღვართან-მეთქი! ვერ მეტყვი, რა მოხდა? ყველანი გეძებდით!

— ისა?

— ვინ ისა? სასიძო? დადიოდა და ცოლი კი არა, შპროტიო — იძახდა. რომ ვკითხე შენზე, ხდა არის-მეთქი, მე რა ვიცი, შენი გოგოს ძიდა კი არ ვარო! ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან.

— მა, იცი, მივხვდი, რომ არ მიყვარს, შენც ხო არ მოგწონდა?!

— მე არ მომწონდა, შეილო, მაგრამ არა მგონია, რომელიმე მამას სიძე მოსწონდეს!

— მა, ჯვარს მაინც ვინერ, არ გამობრაზდე, რა?!

— რა, შეილო?!

— საუკუნეა, ვიცნობ, მა... და ახლა მივხვდი, თურმე მიყვარს! — ვიმიე, მახსენდება, სახელი არც ვიცი. სახელი არ მკითხოს...

— ალექსანდრე. მიხარია თქვენი გაცნობა! — ამბობს უცებ ჩემი ტაქსისტი. ნუთუ მიხვდა?! უნებურად მარცხენა ხელზე ხელს ვუჭერ, ის მეორე ხელს მამაჩემს უწვდის. ისიც ართმევს.

— გვაპატიეთ, რომ ასე გამოვიდა... მინდა, თქვენი ქალიშვილის ხელი გთხოვოთ! მამაჩემს, მგონი, მოეწონა — ვაშა! მერე კი გაუშვა ხელი, მაგრამ გაბრაზება ვერ შევატყვე, პირიქით — ჩემი გულჩვეილი მამიკო, ცრემლი დავუნახე თვალებთან. მერე ჯერ ეკატერინე ბებო, ტიტუკო, სუმოს მოყვარული, ჩემი მეჯვარე ბებია და მაცერიონის სხვა წევრები გავაცანი, მერე მამა გიორგი ვნახეთ.

— კარგია, რომ არ დაავიანეთ, თქვენს მერე კიდევ ორი წყვილი იწერს ჯვარს, — ამბობს და თან გაკვირვებული უყურებს ტიტუკოს, რომელიც გალიაში „მრავალჟამიერო...“ — იძახის.

...საკურთხეველთან, სანამ მამა გიორგი ლოცვებს კითხულობს, ვგრძნობ, რალაცა უნდა მითხრას — ხელი მომიჭირა, თავისკენ მიმიზიდა. ყური მივწიე მისკენ, თან ვფიქრობ, რამეს სასიამოვნოს მეტყვის. დაპირებულა ას ლარს როდის ჩამორცხავო — ჩუმად, ისე, რომ სხვას არ გავგო, მეკითხება. სალახანა-მეთქი, მეც ვურწურულე. მერე ტურით ყურზე შემეხო და სახელი რა გქვიაო, მიწურულა.

— მე — ანასტასია...

— ანასტასია... — ვიცი, რომ უკვე დაგვიანდა, მაგრამ ვერ ვიფარებ, როგორ უნდა მეტყვიანო... — იძახის.

...საკურთხეველთან, სანამ მამა გიორგი ლოცვებს კითხულობს, ვგრძნობ, რალაცა უნდა მითხრას — ხელი მომიჭირა, თავისკენ მიმიზიდა. ყური მივწიე მისკენ, თან ვფიქრობ, რამეს სასიამოვნოს მეტყვის. დაპირებულა ას ლარს როდის ჩამორცხავო — ჩუმად, ისე, რომ სხვას არ გავგო, მეკითხება. სალახანა-მეთქი, მეც ვურწურულე. მერე ტურით ყურზე შემეხო და სახელი რა გქვიაო, მიწურულა.

— მე — ანასტასია...

— ანასტასია... — ვიცი, რომ უკვე დაგვიანდა, მაგრამ ვერ ვიფარებ, როგორ უნდა მეტყვიანო... — იძახის.

...საკურთხეველთან, სანამ მამა გიორგი ლოცვებს კითხულობს, ვგრძნობ, რალაცა უნდა მითხრას — ხელი მომიჭირა, თავისკენ მიმიზიდა. ყური მივწიე მისკენ, თან ვფიქრობ, რამეს სასიამოვნოს მეტყვის. დაპირებულა ას ლარს როდის ჩამორცხავო — ჩუმად, ისე, რომ სხვას არ გავგო, მეკითხება. სალახანა-მეთქი, მეც ვურწურულე. მერე ტურით ყურზე შემეხო და სახელი რა გქვიაო, მიწურულა.

— მე — ანასტასია...

— ანასტასია... — ვიცი, რომ უკვე დაგვიანდა, მაგრამ ვერ ვიფარებ, როგორ უნდა მეტყვიანო... — იძახის.

...საკურთხეველთან, სანამ მამა გიორგი ლოცვებს კითხულობს, ვგრძნობ, რალაცა უნდა მითხრას — ხელი მომიჭირა, თავისკენ მიმიზიდა. ყური მივწიე მისკენ, თან ვფიქრობ, რამეს სასიამოვნოს მეტყვის. დაპირებულა ას ლარს როდის ჩამორცხავო — ჩუმად, ისე, რომ სხვას არ გავგო, მეკითხება. სალახანა-მეთქი, მეც ვურწურულე. მერე ტურით ყურზე შემეხო და სახელი რა გქვიაო, მიწურულა.

— მე — ანასტასია...

— ანასტასია... — ვიცი, რომ უკვე დაგვიანდა, მაგრამ ვერ ვიფარებ, როგორ უნდა მეტყვიანო... — იძახის.

...საკურთხეველთან, სანამ მამა გიორგი ლოცვებს კითხულობს, ვგრძნობ, რალაცა უნდა მითხრას — ხელი მომიჭირა, თავისკენ მიმიზიდა. ყური მივწიე მისკენ, თან ვფიქრობ, რამეს სასიამოვნოს მეტყვის. დაპირებულა ას ლარს როდის ჩამორცხავო — ჩუმად, ისე, რომ სხვას არ გავგო, მეკითხება. სალახანა-მეთქი,

მთარგმნელი

მაია დონაძე

მაია დონაძე თარგმნა და „ინტელექტმა“ გამოცა ჩეხარე პავეზეს „მთვარე კოცონთა მიღმა“. შეუძლებელია, ალბათ, იმუშაო ასეთ ავტორზე და თარგმანის დასრულებით ამონორო მის მიმართ ინტერესი. პირიქით, ბედისწერაა მასთან შეხვედრა და მისგან ველარ გათავისუფლდები. პავეზე, როგორც მწერალი, გამომცემელი, მთარგმნელი ან მოაზროვნე — კიდევ ერთი ვრცელი ინტერვიუს თემაა. დაუსრულებლად შეიძლება საუბარი მის ბოლო რომანზეც — „მთვარე კოცონთა მიღმა“, რომელიც თავის მხრივ, მთელ კულტურულ კონტექსტს მოიცავს, ასე ვთქვათ, ზღვაა, თავისი შიდა დინებებით, სიღრმით, დაფარული მდიდარი ცხოვრებით და გამოუთქმელი საიდუმლოებებით. იქნებ ეს ყველაფერი აირეკლოს კიდევ ინტერვიუში.

— მინდა, დავიწყო ჩეხარე პავეზეს აღსასრული. ნიშანდობლივია ალბათ, რომ ის ჩემოდნით გაუყვა ბოლო გზას — სასტუმროში აღესრულა და არა შინ, თითქოს სახლი არც ჰქონია. პავეზე მუდმივი მგზავრია ჩემთვის, ასეთად გამეცნო.


— ზოგადად, ადამიანია მუდმივი მგზავრი პავეზესთვის — მეტიც, მგზავრი კი არა, მოგზაური. ისინი განსხვავდებიან ერთი გამგელობა, მეორე კი — შემეცნებელი. ვიცით, რომ „ოდისეის“ არაერთი მოდერნისტული ასლი შეიქმნა გასულ საუკუნეში, ეს ნიგნიც ერთ-ერთია. „ოდისეა“ ხომ შემეცნებლის მოგზაურობაა, ცნობისმოყვარე ადამიანის, რომელიც რაღაც უცნობისკენ მიემართება, არაცნობიერში მოგზაურობს. მოდილიანი ამბობდა, შემოქმედი ელამი უნდა იყოს, ცალი თვალთ შიგნით იყურებოდეს, მეორით კი — გარეთ, ანუ როგორც საკუთარ თავს, ისე სამყაროს უნდა შეიმეცნებდე. ეს ნიგნიც ამაზეა. თურმე შეიმეცნებს მოგზაური და, მით უმეტეს, რომანის მთავარი გმირი, ამას მოგვიანებით აუცილებლად ვიტყვი. ზოგადად, პავეზეს ყველა თხზულება დიდწილად ავტობიოგრაფიულია, თუმცა ამ რომანის მთავარი გმირისგან განსხვავებით, ის არც უდევდამო, არც ლატაკი და არც სოფელი ბავშვი ყოფილა, მხოლოდ ხუთიოდე წელი გაატარა სოფლად, მაგრამ იმდენი მისცა იმ წლებმა, რომ შეძლო დაენერა ასეთი, აბსოლუტურად საკუთარ თავში განცდილი ნაწარმოები. ამბობდა კიდევ, ვერაფერს დანერ, თუკი არ განიცადეო.

ძალიან სიმბოლურია ბოლო გზაზე ჩემოდნით წასვლა. თან ჰქონდა „დილოგები ლევკოსთან“ — 27 დილოგი მითოლოგიურ პერსონაჟებს შორის, როგორც ჩანს, მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი ნიგნი, რომელზეც დანერა: „ყველას ვაპატიო და ყველასგან ვითხოვ პატივებს“. ქრისტიანული სიტყვებია კაცისგან, რომელმაც არაქრისტიანულად მოიკლა თავი.

— პავეზე მაგონებს ანგუილას, მისი ბოლო რომანის მთავარი გმირს, რომელიც ვიფრობ, არასოდეს ბრუნდება სახლში — იტალიის ის პატარა კუთხე, სადაც გაიზარდა და სადაც წლების შემდეგ ჩადის, ანგუილასთვის ნავსაყუდელი არ არის. როგორც ლუკას სახარებაშია: „მელთა ხვრელი უჩს და ფრინველთა ცისათა საყოფელი, ხლო ძესა კაცისასა არა აქუს სადა თავი მიიდრიკოს“.

— მიყვარს ეს სიტყვები სახარებიდან. „ანგუილა“ იტალიურად გველთევზას ნიშნავს, არსებებს, რომელსაც ვერ დაიჭერ, ვერ მოიხელთებ, რადგან გასაქცევად, დასასხლტომად მუდამ მზადაა, ანუ სწორედ ის არის, ვისაც არც ხვრელი უჩს და არც — საყოფელი. ეს ნიგნიც მისადრეკელის არარსებობაზეა და ძალიან მწყდება გული, რომ ინტერნეტისერცეში, სადაც კი პავეზეზე წერენ ან მის რომანს განიხილა-

ვენ, ერთადერთი ციტატა მოჰყავთ — „სოფელი საჭიროა, უნდა გქონდეს, იმისთვის თუნდაც, რომ იქიდან წასვლას გაუგო გემო...“ ეს ნიშნავს, რომ ნიგნი არ ნაუკითხავით, რომანი ხომ სრულებით საპირისპიროზე — წასვლასა და გაზრდაზეა და არა დაბრუნებაზე. იქ წერია, რომ სოფელი იმიტომ უნდა გქონდეს, იქიდან წასვლას რომ გაუგო გემო. სოფელი აქ ათვლის წერტილია, საიდანაც მიდის. შესაძლოა, დაბრუნდები კიდევ, მაგრამ მთავარია, რა დაგვრდება იქ. როცა დაკაცებული, გამდიდრებული და წარმატებული ანგუილა სოფელში ჩადის, აღმოჩნდება, რომ ნოსტალგიას,



რაც დაბრუნებამდე ჰქონდა, ახლა მეტად გრძნობს, ახლა მეტად სტკიცა, რადგან არა მხოლოდ სოფელი, თვითონაც სხვაა. აკი ამბობს კიდევ, ყანის ადგილას ნაყინი, ვენახის ნაცვლად კი ნავენახარი დამხვდა. დაბრუნება მინდა, მაგრამ არ გამომდის, ფეხქვეშ მეცლება მინაო... ძნელად მეგულება ადამიანი, ცხოვრებანახის კაცი, რომელიც დაუბრუნდება ბავშვობის ადგილს, საიდანაც მაშინ წავიდა, როცა ჯერ არაფერი ენახა და იქ ჰარმონიულად გააგრძელებს ცხოვრებას. ათვლის წერტილია სოფელი, აქედან ითვის ადამიანი საკუთარ თავს, აჯამებს ცხოვრებას, ნონის სიმნიფეს. და რა არის ეს სიმნიფე? ამ ნიგნის ერთ-ერთი ეპიგრაფიც ხომ სწორედ ამაზე პასუხია. წასვლა და დაბრუნება ადამიანის ცხოვრებაა. „ოდისეაც“ კი, მართალია, ოდისეის დაბრუნების ამბავს ყვება, მაგრამ მინც გასვლაზეა, წასვლაზეა. ზღვა განსაზღვრულია პავეზესთვის. ბოლოს და ბოლოს, 21 წლის ბიჭმა თარგმნა „მოზი დიკი“, ისეთი თარგმანი დატოვა, იტალიური ლიტერატურისთვის დიდმე შედევრია.

— და ანგუილა ც ზღვაში შედის და შორს მიემგზავრება. რა სახეა ეს შენთვის, რა ლიტერატურული ალუზიაა?

— ლიტერატურული ალუზია, რა თქმა უნდა, „ტელემაქია“ — „ოდისეას“ პირველი ოთხი თავი. პავეზეს ბოლო რომანი ბავშვზეა, რომელიც წასვლაზე ოცნებობს და „ოდისეაც“ გვიყვება, როგორ აუცილებლობად სახავენ ტელემაქეს წასვლას ღმერთები და დედამისი — ტელემაქე ზღვაში უნდა გავიდეს. ეს ერთგვარი ინიციაციაა მოზარდის, რომელიც თანდათან კაცობაში შედის. ძალიან მნიშვნელოვანია ტელემაქეს დედის სიტყვები, მოგვიანებით რომ იტყვის — ჩემი ძე უწვრთნელი იყო, მაგრამ ახლა დაბრუნდა და გონება მიეცაო, ანუ გონის მიღება, გონიერი სიმნიფეა სწორედ წასვლის მიზანი. სიმნიფეზეა პავეზეს ნიგნის ეპიგრაფიც შექსპირის „მეფე ლირიდან“ — „სიმნიფე ყველაფერია“. შექსპირი ამბობს, რომ რეალურად ადამიანის ცხოვრება არის წასვლა და ჩამოსვლა, ანუ სიმნიფისათვის ეს ციკლია გასავლელი. ანგუილა კი, ის პატარა უსუსური ბიჭი, ბავშვობიდან გამგზავრებაზე ოცნებობს, გასცქერის ღრუბლებს, მდინარეს, მატარებლებს

და წარმოიდგენს, რომ მისი სოფლის იქით პატარა ქალაქია, იმის იქით უფრო დიდი ქალაქი, გენუაა, გენუას იქით — ზღვა, ზღვის იქით კი ამერიკაა. მისი წარმოსახვა თანდათან მნიფდება და მოგზაურის მთავარი თვისებით, გამბედაობით შემკული ანგუილა გადწვევებს, გაემგზავროს და ასე გადაირჩინოს თავი. შექსპირის „სიმნიფე ყველაფერია“ შეუძლებელია, არ დააკავშირო კანტის ოპუსთან განმანათლებლობის შესახებ, სადაც ის ამბობს, რომ განმანათლებლობა არის ადამიანის უმნიფრობიდან გამოსვლა. უმნიფრობის მიზეზი კი ადამიანის სიმბედალე და სიზარმაცეა. აკი განმანათლებლობის დევიზიც ესაა — გაბედე შემეცნება. განა რას შერება ანგუილა განსაკუთრებულს? ხომ გახსოვს, როგორი უსუსურია თვითონ და რა მიიმე მდგომარეობაშია მთელი სოფელი, როგორ ხელმოკლედ ცხოვრობენ, თუმცა მათი ხელმოკლე ყოფა ერთგვარი კომფორტია, შეჩვეული ყოფიან გასაჭირს, კომფორტის ზონიდან გასვლას კი გამბედაობა სჭირდება.

რა სიმნიფე მოიპოვა ანგუილა წასვლით? დაბრუნებული მეგობარ ნუტოს ეუბნება, იქნებ მამაჩემიც გავიგო, ვინ არისო,



და ის პასუხობს: „შენ თვითონ ხარ მამაჩემი“. თავისუფალი ხარ, სიმნიფეს მიაღწიეო, უთხრა. ზღვასობას ბევრი ფილოსოფოსი ცხოვრების მეტაფორად განიხილავს. გამოთქმებიც კი გვაქვს — „ცხოვრებას ზღვა“ და ასე შემდეგ. „ნასა“, მაგალითად, დედამიანს „ზღვის პლანეტას“ ეძახის და გვეუბნება, რომ ერთადერთი, რაც პლანეტას აერთიანებს, წყალია. სხვები კი ამბობენ, რომ ხმელეთი ადამიანის მდგომარეობის ერთგვარი კონტრესტია. ადამიანის ცხოვრება ხმელეთისა და ზღვის ურთიერთობა გამოდის. რა დოზით და როგორ, ამაზე ერთ-ერთი პასუხი სწორედ პავეზეს ბოლო რომანია.

— ანგუილა ამერიკაში მიდის. პავეზე ერთვან ასე ალაპარაკებს თავის გმირს: „მივხვდი, რომ ეს ვარსკვლავები ჩემი არ იყო და რომ შიშს მგვრიდა, როგორც ყველაფერი დანარჩენი... ღირდა კი ჩამოსვლა? კიდევ საით შემეძლო წასვლა? თუ პირსიდან პირდაპირ თავქვე დაშვებაზე მეფიქრა?“ აქ თვითმკვლელობა იგულისხმება ალბათ, მაქ ანგუილასთვის, პირსიდან წყალში გადაშვება? ასე ამთავრებენ გზას მგზავრები-მეთქი, ვიფიქრე.

— იტალიელისთვის ამერიკა ალექსუმი მინა იყო, იქ წასვლა გადარჩენას ნიშნავდა. სწორედ ამით დათრგუნა ამერიკამ თავის არვიზობას, ნაბიჭვრობას გამოქცეული, საკუთარი თავისა და მამის მძიებელი აღმოჩნდა ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ნაბიჭვრები დახვდნენ — მიდევსტიდან ჩასული ქალები სხვადასხვა უნარით რომ იკავავდნენ გზას, უმშობლოები და უსამშობლოები, გინდაც მექსიკელები, მტატიდან მტატიში რომ გადადიოდნენ, კაცობრიობა რაღაცნაირად ოპოლი ადამიანების კრებულად დაინახა. პავეზემ კარგად აღწერა დეპრესიული ფონი, ჯერ მარტო ის ადგილი რად ღირს, უდაბნოში რომ დაულამდება ანგუილას მანქანით. გვეუბნება კიდევ, ადამიანებს მკვდრებს პოულობდნენო — ზოგს მოკლულს და ზოგსაც თვითმკვლელს. რაღაცნაირად დეპრესიულ ფონს ქმნის ისიც, რომ ამერიკას თითქოს მინასთან კავშირი არ აქვს, მცენარეც კი დეკორატიულია, ვენახი კი ბალი გეგონებაო, ამბობს ანგუილა. ერთადერთი ცოცხალი ხმა, რაც იქ გაისმო, ბაყაყების ყიყინია, ანუ

ჭაობი, სრულებით არაცოცხალი გარემო, სიცოცხლის საპირისპირო სურათია ირგვლივ.

— ამ ნიგნის კიდევ სამ პერსონაჟზე ვილაპარაკოთ: ვალინოზე, მის შვილ ჩინტოსა და ანგუილას მეგობარ ნუტოზე. ჩემთვის ისინი ანგუილას ვერსიებია. აი, რას ამბობს ანგუილა ვალინოზე: „ბელბოს ხეობას ცხოვრებამი არ გასცდენია... ოცი წლის რომ არ გავქცეულიყავი, ჩემი ხვედრიც ეს იქნებოდა. მე ქვეყნიერებაზე, ამან კი გორაკებზე, ვიარეთ, ვიარეთ და ვერასოდეს შევძელი, გვეთქვა: „ესაა ჩემი კუთხე, ამ დირეზე უნდა დავებრდე, ამ ოთახში უნდა მოვეკვდე“. ვალინოთი დავიწყოთ, იმ უძრახი, განწირულობით დალდასმული ადამიანით, რომელმაც დახოცა ოჯახი, გადაწვა სახლ-კარი და ვენახში ჩამოხრჩო თავი.

— ვალინო ანგუილას ჰიპოთეზური ვერსიაა. ასეთი იქნებოდა მისი ბოლოც, რომ არ გაეღწია სოფლიდან. თუმცა თვითონ სხვანაირი დაიბადა — ნიჭიერი და ინტერესიანი, გახსნილი შემეცნებისთვის. ვალინო ასეთი ვერ იქნებოდა. მისი ვაჟი ჩინტო კი ღია შემეცნებისთვის და გაუმართლა კიდევ, ანგუილას რომ შეხვდა.

— ჩინტო — ვალინოს შვილი, კოჭლი, რაქიტინი პატარა ბიჭი, ანგუილას საკუთარ თავს აგონებს.

— ჩინტოში თავის ბავშვობას ხედავს, ანგუილასა და ჩინტოს შეხვედრაზე ოთარ ქილაძის ფრაზა მახსენდება, ცალხელა კაცს მეტი რა მოეთხოვებაო. მართლაც, ამ უმშობლო, უპატრონო ბიჭმა, რომელმაც სოფელში ყველაზე მეტი გაბედა, წავიდა, ადამიანური ღირსება შეიძინა, წარმატებას მიაღწია, დაბრუნდა და ჩინტოს სახით ერთი ბავშვი მაინც გადაარჩინა. ესე იგი, ღირდა ცხოვრება, ვალი მოხდლია. არის ერთგვარი ჰეროიკა ამაში. ჩინტოს მამა კი „შეჩვეული ჭირის“ ნაწილია, ამიტომ ამბობს ანგუილა ჩინტოზე — ნეტავ, მამა სულ არ ჰყოლოდაო. ამ შემთხვევაში მამა თავისუფლების შემადგენელია, დაბრკოლებაა სიმნიფის გზაზე. ეს ერთგვარი მოდერნისტული განაცხადია, უმნიფობის, თვითნაბადობის მოწონებაა პავეზესგან. თითქოს არავის უნდა უმადლოდეს ადამიანი თავის დაბადებას, თითქოს არავისი ვალი არ აქვს. თუმცა თანამედროვე სამყარო მთლად ბედნიერი არ არის „უამაობით“, ადამიანი მარტოა და სამყარო არაკომუნიკაბელური. ადამიანებს შორის რომ კომუნიკაცია გამწყდარი, ამ ნიგნიც კარგად ჩანს.

ადამიანსა და ღმერთს შორის განწყვეტილი კავშირი რელიგიის დასაბამად იქცა. ადამიანებს შორის დაკარგული კავშირის აღდგენას კი რა ემსახურება? ალბათ — ხელოვნება.

— მაშინ ბუნებრივია, თუ ახლა ნუტოზე ვილაპარაკებთ. ნუტო — მუსიკოსი და დურგალი, ასე თუ ისე, შემდგარი ადამიანი, ასე ვთქვათ, იქაურობის მკვიდრი. ასე ამბობს მასზე ანგუილა: „ისევე ნუტო იყო, ვინც მითხრა, რომ მატარებელი ყველგან წახვალ, რომ სადაც რკინიგზა მთავრდება, იქ ნავსადგურები იწყება და განრიგით გადიან ხომალდები, რომ მთელი მსოფლიო გზებისა და ნავსადგურების ხლართია, იმ ხალხის განრიგია, ვინც მოგზაურობს... მოდა, ზოგჯერ, როცა სამუშაოდ გასული გზის თავზე ვენახის მიწას ვთოხნიდი მზეში და მესმოდა, ატმის ხეებს მიღმა როგორ ავსებდა ხეობას კანელისა კენ თუ კანელიდან მავალი მატარებლის ხმა, იმ ნუტოებში თოხს დავეყრდნობოდი და გავცქეროდი კვამლს, ვაგონებს... და ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს სხვა ვიყავი“. ასეთი ბიჭი იყო ნუტო ანგუილასთვის, თუმცა თვითონ არსად წასულა.

— რატომ არ მიდის ნუტო? იმიტომ, რომ ის სრულებით სხვა მოვლენაა. ნუტო არ უარყოფს მამას, მას მამა-ბატონი არ ჰყავს, არც მის ძიებაშია, მამამისი დურგალია — ხელოსანი, ხელოვანი. რენესანსის ხანაში ხომ ხელოსნობა ერქვა მხატვრობას, ფერწერას. ნუტოს მამაც, თავად ხელოვანი, სრულ თავისუფლებას აძლევს შვილს და ისიც სწორედ მუსიკოსობით მოივლის ქვეყანას, ყველაფერს ნახავს, მაგრამ როგორც კი მამა უკვდება, ბიჭი, რომელსაც დაკვრის მეტი არაფერი აინტერესებდა, კლარნეტს ხელში აღარ აიღებს და მამის საქმეს აგრძელებს. მას მამისგან გაქცევა არ დასჭირვებია. ნუტო არის ერთადერთი, კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით-

ჩეხარე პავეზე რეზარე კოცონთა მიღმა



მოციქრალი, თვითმოზროვნე ადამიანი, რომელიც რჩება სოფელში. კანტი ამბობს, რომ განმანათლებლობის პროცესს სჭირდება დამოუკიდებლად მოზროვნე ადამიანები, სხვათაგან და საზოგადოება უმნიფრობიდან ვერ გამოვა და რაც მენტორია ტელემეტიკისთვის, ის არის ნუტო ანგუილასთვის.

**— მგონი, ამ წიგნში ყველა თავისებურად უბედურია, ნასულცი და დარჩენილიც. მდიდარიც და უქონელიც. ყველა გაუხარელია... სან მატეოც კი, ასე ვთქვათ, ძლიერი ოჯახის თავკაცი, ტრაგიკული აღსასრული.**

— მე ასე ვხედავ — ჩაკეტულ სივრცეში ყველა უბედურდება. ადამიანი იმიტომ იბადება, რომ უცნობ ზღვაში გავიდეს, გამოცადოს დისკომფორტი, საფრთხეშიც ჩაიგდოს თავი, ფიგურალური მნიშვნელობითაც, უნდა გავიდეს, რადგან შუქმძებელია, ჩაკეტულ სივრცეში ჰარმონია პოვოს. არცერთი ინსტიტუცია, რომელიც ჩაკეტული სივრცეა, ჰარმონიულ გარემოს ვერ ქმნის. შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე უფრო ძლიერი ოჯახი სოფლად, სორ მატეოს ოჯახი, პირობითობას, ჩაკეტულ სივრცეს შეეწირა. მისი ქალიშვილების ტრაგედიაც ეს იყო — ირენი, სანტა და სილვია აღარც გადარდები იყვნენ და არც არისტოკრატები, სამივე თავისებურად ცდილობდა, გაქცეოდა თავის სოციალურ, მაგრამ რისკანაც გარბოდნენ, სწორედ მის ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

**— როგორ შთამბეჭდავდა აღწერა პავეზე მათ საცხოვრის, სოციალური მდგომარეობით დაღდასმულობა ყველაფერში ჩანს და იგრძნობა, იმ ერთგვაროვან ყვავილებშიც კი, მათ ეზოში რომ ყვავის. როგორ ხატავს კადრებს, სურათებს. მოდი, ვილაპარაკოთ პავეზეზე, როგორც მწერალზე.**

— ძნელია, მოკლედ თქვა პავეზეზე რაღაც. დიდი მოვლენაა იტალიურ კულტურაში, ერთ-ერთი დიდი იტალიელია. ორი სიტყვით შევხები მის ბავშვობას. ცოტა ხანი გაატარა სოფლად, რადგან ქალაქში იმ დროს ეპიდემია მივინვარებდა. სოფელი მისთვის გახდა ყველაფერი, განსაკუთრებით — გორაკებიანი ლანდშაფტი მხარე, ათასი სიმბოლიკა დაუკავშირა იმ გორაკებს, მიტები შექმნა, ეს წიგნიც მითია. გარდა იქ გატარებული რამდენიმე იდილიური წელიწადისა, მნიშვნელოვანი მის ბავშვობაში იყო დევის ფაქტორი. დედამის ორი შვილი მოუკვდა და შემდეგ — ქმარიც. შვილებისა და ქმრის დამკარგავი ქალი გაუხეშდა. და როდესაც პავეზე სოფლიდან ტურინში დაბრუნეს, იქ ასეთი დედა დახვდა — ცივი და მკაცრი. მისგან აღარც ღირსება სიტობა. ფაქტია, დედასთან ურთიერთობამ დაასვა დალი, ქალბატონი მიუღებლობის წინააღმდეგ ანტიკონაც ჰქონდა და პირადი ცხოვრებაც ვერაფრით აანყო. და ასეთი კაცი, არნახულად შრომისუნარიანი, ათას რამეს მისწვდა — აღარ მოეცემა რამდენიმე რამ თარგმანა, რამდენი დაწერა. გამოიჩინა თავი როგორც საზოგადო მოღვაწე, როგორც დიდმა გამოცემელმა. „ეინაუდი“ ძალიან მნიშვნელოვანი გამოცემლობა იყო. პავეზე გახდა განმსაზღვრელი მისი საგამომცემლო პოლიტიკის, გამოცემლობის მიმართულეებისა და პერიოდიკის. „საგამომცემლო მონსტრი“ — ასე იცნობდნენ მას. მის მკაცრ ინტელექტუალიზმს ექვემდებარებო-

და ყველა ტექსტი, რაც შედიოდა „ეინაუდში“. ძალიან ბევრი გაანაწყენა, მათ შორის — ცნობილი მწერლები. მაგალითად, პრიმო ლევის არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მისი წიგნი — „და ესეც ადამიანია?“ — პავეზემ დასაბეჭდად დაიწყო, თქვა, რომ ის საკონცენტრაციო ბანაკის ქრონიკა უფრო იყო, ვიდრე მხატვრული ნაწარმოები. თავის მხრივ, ვერც საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოსული პრიმო ლევი დაწერდა სხვაწილად. მათგან, ვინც პავეზემ მოიმაძლიერა, ერთ-ერთი იტალი კალვინო იყო. პირველად პატარა რომანი მიუტანა წინააღმდეგობის მოძრაობაზე, და პავეზემ, რა კარგი ზღაპარია, კალვინო ციყვი ხარო, უთხრა. კალვინოს ეწყინა, ცხადია, მაგრამ შემდეგ იფიქრა პავეზეს ნათქვამზე და დაიწყო კიდევ ზღაპრების წერა, თანაც — როგორი ზღაპრების. ზღაპრის ფორმა აქვს ყველაფერს, რაც მან შექმნა. მერე, რასაც წერდა, პავეზეს აკითხებდა. მეგობრობდნენ. პავეზე ლეგენდა იყო იმ გამოცემლობის — არ ეძინა, არ ჭამდა, ბომბები ფეთქებოდა, ის კი არ ტოვებდა გამოცემლობას. არანორმალურად იცხოვრა. ჩვეულებრივ შრომას ვერც დაარქმევ მის საქმიანობას, დღე და ღამ ჯაფაში იყო, იმდენად, რომ დაღლილობა თუ გადაღლილობა მოდუსიც იყო და სტატუსიც მისთვის. პავეზესთვის დაღლილობის გარეშე რალაციის წვდომა, სიმნიფე შეუძლებელია. პოეზიის შექმნაც შეუძლებელია დაღლილობის გარეშე. პირველ კრებულს ხომ ასეც დაარქვა: „მუშაობა ღლის“. მასწავლებელი ეუბნებოდა, გეყოფა მეცადინეობა, დაისვენო, მას კი არ შეეძლო, ლიტერატურა მეტისმეტად ეჭვიანი საყვარელიაო, ამბობდა.

**— პავეზეზე, როგორც მწერალზე უნდა ველაპარაკო...**

— პავეზეს, როგორც მწერალს, უნიკალური ხედვა აქვს — მთხრობელიც არის და ლირიკოსიც, მკაფიო დამკვირვებელიც და ძალიან პოეტურიც, იმდენად პოეტური, რომ ვერ დააშრობ, ვერ დააცხრობ. ისეთი იდუმალეა გასდევს, რომ გაიძულეხს, მიუბრუნდე და მიუბრუნდე დაუსრულეხდა.

განუმეორებელია მისი სტილიც, რომელსაც ლათინურად ჰქვია „ბრევიტასი“, ანუ სიმოკლე, როცა მთავარი სათქმელი ძალიან დაწურული, მოკლე, თითქმის სიმბოლოების დონეზე დაწვრილი ტექსტის მიღება უნდა ამოიკითხო. ასეთი სტილი მაშინდელი იტალიური ლიტერატურისთვის სიახლე იყო. პავეზე ამერიკანისტი გახლდათ, ამერიკულ ლიტერატურას თარგმნიდა, იკვლევდა და მასზე წერდა, ეს ამერიკული სტილიც კარგად მორაგე იტალიურ მწერლობას. თუმცა ასეთი პოეტური არ არის არცერთი ამერიკული ნაწარმოები, რაც მან გადმოთარგმნა, მისი ორიგინალი ტექსტები გაცილებით პოეტურია.

სიმბოლისტებს, იმპრესიონისტებსაც აღმოსავლური უხვსიტყვაობა ახასიათებდათ, ეს კი სრულებით საპირისპიროა. მოკლე ფრაზაში, რაღაცნაირად, პოეტურობის Blow-up პრინციპი მუშაობს, თითქოს შენწინ დიდება კადრი, მოკლე ფრაზა მთელ სურათს გიხსნის. ბორხესს რომ აქვს ერთი ამბავი, ჩინეთის იმპერატორი რომ მოისურვებს, იმხელა რუკა შექმნას, რამხელაა თავად ჩინეთია, არადა, რუკის პრინციპი რა არის — ერთი ასზე თუ ერთი ათასზე მასშტაბით უნდა დაიტანო დიდი ტერიტორია ხომ? იმავე პრინციპით იგება მოკლე ტექსტებიც, მითიც, გარკვეული მასშტაბით რომ იტყვას სამყარო.

მნიშვნელოვანია პავეზესთვის ბავშვის ხედვა, სამყაროს პირველი აღქმა ბავშვის თვალთ. ხშირად წერდა ამაზე. თვითონ მისი, როგორც ადამიანის, პათოსი ძალიან განსხვავებულია, ის არ ყოფილა ბენდინერი, მაგრამ არც უსასობის მიზეზი ჰქონია.

**— თუმცა თვითმკვლელობით დაამახსოვრა ყველას თავი.**

— დაიღალა და ამოწურა თავი, როგორც შემოქმედმა. სხვა ცხოვრება მას არც ჰქონია. თვითმკვლელობის სურვილი ბოლოს კი არ გაუჩნდა, ბავშვობიდან აკვირებულ იქნა ჰქონდა, ამაზე წერდა თავის დღიურშიც, 17 წლისამ კი პირველად სცადა თვითმკვლელობა. დუალიზმია მისი ცხოვრება, დიალოგი დამწყებსა და დამამთავრებელს შორის. მის ბრწყინვალე დიალოგებში ეს ყველაზე კარგადაა გადმოცემული. პავეზე ღია იყო ყველაფრის მიმართ, რაც ხდებოდა მეოცე საუკუნეში, უნდო-

და, შემოეტანა, ეთარგმნა და გამოეცა რაც შეიძლება მეტი კარგი ლიტერატურა. რჩება წიგნები, როგორც „ნაკოცონარი“, ამ გამოთქმით მთავრდება მისი უკანასკნელი რომანი.

**— მინდა, გკითხო სათაურზე — „მთვარე კოცონთა მიღმა“. საინტერესოა, რატომ აირჩია, სწორედ ასე დაერქვა რომანისთვის, მით უფრო იმ დიალოგის ფონზე, მასსა და ნუტოს შორის რომ გაიმართა. მთვარისაც გჯერა? ნუტოს ეკითხება ანგუილა. „მიდი და ნუ დაიჯერებ“. სასვე მთვარეზე გლეხები არ დაამყნობენ მცენარეს, არ გარეცხავენ ღვინის ჭურჭლებს, და ასე შემდეგ. მთვარე განსაზღვრავს სოფლის ყოველდღიურობას. „ცრურნმენების გჯერა ბებიაშენისხელა ქალებივით“, — ეუბნება ნუტოს ანგუილა, ის კი პასუხობს, სანამ რამეს იტყოდე, ისევ გლეხი უნდა გახდეო.**

— ამ სათაურში მნიშვნელოვანია ორი რამ — ციკლური დრო, რომელიც მთვარეს უკავშირდება და კოცონი. პავეზესთან ვხვდებით დროის განახლებულ გაგებას, ძველი ბერძენებისგან რომ მოდის. მათთვის ხომ სიცოცხლე არის სასრული, რადგან სიკვდილის შემდგომი ცხოვრება არ აქვთ. ძველ ბერძენებთან სიცოცხლე ციკლებისგან შედგება — სიყრმის, სიჭაბუკის, ზრდასრულობისა და მოხუცებულობისგან. მომავალმა დრომ აზრი ქრისტიანობასთან ერთად შეიძინა და გახდა უსასრულო. პავეზემ კი სწორედ ციკლური დრო დააბრუნა თავის ნაწარმოებებში. მის რომანში მთვარეა ციკლური დროის განსახიერება. ის ანესრიგებს სწორედ ცხოვრებას, ყოველდღიურობას.

იტალიურში დროის აღმნიშვნელი სიტყვებია — „ტიემპო“, რომელიც ყველამ ვიცოდა და „სტაჯონე“, ეს იგივეა, რაც „სეზონი“, ანუ პერიოდი, დროის რაღაც მონაკვეთი, განმეორებადი გარკვეული ციკლის ფარგლებში. პავეზე დროის აღსანიშნავად ყველგან ხმარობს სწორედ „სტაჯონეს“. პირველიც აბზაცში შემხვდა ფრაზა ამ სიტყვით: „სანამ ადამიანი გაუვიდოდეს „სტაჯონე“... ასე გადმოვიტანე: „სანამ ადამიანს გაუვიდოდეს ყავლი“. „ყავლი გაუვიდა“ იგივეა, რაც „გადა გაუვიდა“ „სტაჯონარე“ — ზმნა — კი ნიშნავს დაძვლებას, დავარგებას, დროში გამოყვანას. ასეთი განსაზღვრება მოუძებნა დროს პავეზემ.

იტალიური სათაური სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „მთვარე და კოცონები“, ვერაფრით დაწვრილ „კოცონებს“, არადა მრავლობითი რიცხვი აუცილებლად უნდა შენარჩუნებულიყო, რადგან ორ სხვადასხვა, თვისობრივად განსხვავებულ კოცონზეა ლაპარაკი. ერთია კოცონი, რომელსაც მინათმომქმედებაში იყენებდნენ სოფლის მკვიდრნი, როგორც მინის გამაცოცხლებელს, ხოლო მეორე კოცონი გამაცოცხლებელი კი არა, მომაკვინებელია და ნამდვილი მსხვერპლიც მოჰყვება. ამიტომ ასეთი გამოსავალი ვიპოვე: „მთვარე კოცონთა მიღმა“.

**— ხელთ მაქვს შენივე თარგმნილი ლექსი „სამხრეთის ზღვები“ პავეზეს პირველი კრებულიდან. წინასწარმეტყველებასავით ლექსია, თითქოს ის რომანი ამით დაიწყო, „მოგ ზაურობა“ ლექსით დაიწყო და რომანიდან დაასრულა. მკითხველი ჩვენს ინტერვიუსთან ერთად ამავე ნომერში გაეცნობა „სამხრეთის ზღვებს“.**

— ეს მისი პირველი პოეტური კრებულის — „მუშაობა ღლის“ — პირველი ლექსია. „სამხრეთის ზღვები“ ლექსი-მოთხრობა, ანუ გრძელი პოეტური ფორმით გადმოცემული ამბავია. მასში ისეთი რამდენიმე, შეუძლებელია, მხოლოდ პროზა დაარქვა და ლექსად არ აღიქვა, პოემასაც ვერ დავარქმევთ, ეს მისეზური ჟანრია — ლექსი პროზად. და რას გვიყვება ლექსი? იმავეს, რასაც რომანი. შორს სასული, ნამოგზაურები, მრავალჭირნახული — ეს ოდისევსის ეპითეტია — წარმატებული და უკან დაბრუნებული კაცის ამბავს მოგვითხრობს. პოეზიით დაიწყო პავეზემ, 1930 წელს დაწერა ეს ლექსი, დაწერა მაშინ, როცა „მოზიდიკი“ თარგმნა, მაგრამ „სამხრეთის ზღვები“ მაშინ არ დაუბეჭდეს და ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა. პირველი ლექსისა და ბოლო რომანის სახით, პავეზეს ათვლისა და შეკრების წერტილები თანხედება ერთმანეთს, იქიდან დაიწყო და ამისთვის ემზადებოდა მთელი ცხოვრება, თქვა კიდევ, 16 წელი თავში მაქვს ეს რომანიო. ლექსში ძალიან ბევრი პარალელი გაივლე-


ბა დანტეს „ღვთაებრივ კომედიასთან“. ცხოვრების ბილიკზე სიარულით იწყება დანტეს „ჯოჯოხეთი“ და აქაც ცხოვრების კიდეს მიეფუყვებით... ბევრი ადგილია, რომელიც ასოციაციურად დანტეს „ჯოჯოხეთს“ გაგვახსენებს, რაც მთავარია, ამ წიგნზე ასეც ამბობს პავეზე, ეს ჩემი მოკრძალებული ღვთაებრივი კომედიანია. გულისხმობს არა დანტეს ნაწარმოების სიღაძეს, არამედ მის ყოვლისმომცველობას. მასში უნდა ჩაეთია ყველაფერი, მთელი სათქმელი. ამ ლექსშიც ნოსტალგიით ბრუნდება უთქმელი, რუმი ბიძაშვილი. უთქმელობა და სირუმი დიდი თემაა პავეზესთან. დაბრუნდება, მაგრამ ვერ მოერგო იქაურობას, ხელი მოეცარა. ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის ამ მრავალჭირნახულ ადამიანს მშობლიურ ადგილას ცხოვრების ახლიდან აწყობა. გმირის ხასიათის მთავარი თვისება, უთქმელობა, პავეზეს ამ ლექსშიც, რომანშიც და, საერთოდ, ყველა მის ნაწარმოებში, მდაფრადაა გამოხატული. ტეოდორ ადორნო, კანტის ფილოსოფიური აზრის მემკვიდრე და მისი განმანათლებლური იდეების გამგრძელებელი, უმნიფრობისა და სიმნიფის განხილვისას ამბობდა, რომ ცხოვრებაში არის რაღაცები, რაზეც ვერაფერს იტყვი, რაც დაგამუწევს. მით უმეტეს, ასეთია ალბათ მოგზაურობა, როგორც ინციაცია, როგორც მისტერიების გავლა, საიდუმლოებასთან ზიარება, საიდუმლო კი, თვითონ სიტყვა მიგანიშნებს, რომ უნდა შეინახო, შენ ვერ გათქვამ ნანახსა და განცდილს. უზრალოდ ვერ გამოთქვამ, ძალიანაც რომ მოინდომო. უთქმელობა, დარდისა და გამოცდილებისგან დაშორება პავეზეს შემოქმედების განმსაზღვრელია.

სხვა კავშირიც რომ არ ჰქონოდათ, უთქმელობისა და დისკომუნიკაციის ამ რიტმით მანაც დავაკვირებდი პავეზეს პროზასა და ანტიონონის კინოს ერთმანეთთან. მათი გამომსახველობითი ენის სიმოკლეს ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ურთიერთობის შეუძლებლობიდან გამომდინარეობს. მთავარი ის არის, რომ ანტიონონი იმ თემის რეჟისორი გახდა, რომელიც პავეზეს ცხოვრებისეული პრობლემა იყო — უთქმელობის, დისკომუნიკაციის. რატომ ვაკავშირებ ანტიონონის პავეზესთან? იმიტომ, რომ მისთვის პავეზე იყო ერთადერთი მწერალი, რომელიც გაგანია ნეორეალიზმის პერიოდში გამოარჩია და დაინახა, როგორც არანეორეალისტი. მართლაც ასე იყო და ანტიონონიც უკვე ემზადებოდა სხვანაირი კინოს გადასაღებად. და მან გადაილო პავეზეს დიდი მოთხრობის, უფრო სწორედ, მცირე რომანის, მიხედვით ფილმი „მეგობარი ქალები“, თუმცა რომანს „მარტოსულ ქალებში“ ჰქვია. ფუქსავატი ქალები მოძრაობენ ერთად, ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, ოღონდ ეს სრულიად უაზრო და ცარიელი დიალოგებია. მათ შორის კომუნიკაცია, სინამდვილეში, არ არსებობს. საბოლოოდ, ერთ-ერთი ქალი თავს იკლავს და მისი ყვირილით, უთქმელობიდან ამოძახილით მთავრდება ფილმი. ამის შემდეგ ანტიონონიმ გადაილო კიდევ ერთი სურათი, სახელწოდებით „ყვირილი“. ის ორი ფილმი ნეორეალიზმზე უარის თქმისა და ფსიქოლოგიურ კინოში მისი გადასვლის პირველი ნაბიჯებია. ნამიკითხავს და მომიხმენია, როგორ ჰყვება ანტიონონი პავეზეზე, ძალიან მოსწონდა და უყვარდა ის. ანტიონონი ალბათ პირველი რეჟისორი იყო, რომელიც პერსონაჟის ფსიქოტიკით დაინტერესდა, არა ქცევის ფსიქოლოგიით, ვინაიდან სწორედ ქცევა განსაზღვრავს პიროვნებას. აკი პავეზესთანაც რიტუალია განმსაზღვრელი, კოცონი და მთვარის ფაზები, როგორც მითოლოგიური ძირები ადამიანის ყოფისა, განსაზღვრავს მის ქცევას.

**— ბოლო კითხვით ისევ ჩვენი საუბრის დასაწყისს მივუბრუნებ: მის სასტუმრო ნომერში, გარდაცვლილის სასტუმროსთან წიგნი ნახეს: „დილოგები ლევიკოსთან“ და მასში იდო საბიბლიოთეკო ბარათი, რომლის უკანა მხარეს იისფერი ფანქრით ეწერა: „ჩემს თავს ვეძებდი“. იზოვა? საერთოდაც, ვინ პოულობს საკუთარ თავს? ალბათ — არაფერი. მთელი ცხოვრება მხოლოდ ძებნაა...**

— ერთ რამეს ვიტყვი — ჰერაკლიტე ამბობს, რომ რამდენიც უნდა იარო და რაც უნდა გადაგხდეს თავს, ვერასდროს მიადგები შენი სულის საზღვრებს, ვერასდროს იპოვი თავს.

ესაუბრა თამარ ჟურული



ჩეხარე პავეზე

სამხრეთის ზღვები

ბექობის კიდეს მივუყვებით ერთ საღამოს, გაყურებულნი. თვალისკიდიას, უკვე ხშირბინდში, ჩემი ბიძაშვილი თეთრებჩაცმული გოლიათია. დინჯად მიიჩნევა, მზისაგან სახედამწვარი და მდუმარე. დუმილი ჩვენი ღირსებაა. წინაპარი უნდა გვყოლოდა ვინმე, მარტოსული სულ — დიდზე დიდი კაცი ბრყვებს შორის და ან საბრალო დამთხვეული — თავისიანებს ამოდენა სიჩუმე რომ ასწავლა.

ამ საღამოს რაღაც თქვა ჩემმა ბიძაშვილმა. თუ ამომყვებით, მკითხა: მყუდრო ღამეში ბექის თხემიდან მოჩანს ტურინის შორი შუქურის ანაბზინი. „ტურინში ცხოვრობ და ...“ ...ჰო, მართალიაო, თქვა. „სოფლიდან შორს უნდა იცხოვრო: იშვოვ იქ, შეირგო და მერე, როცა ჩემსავით დაბრუნდები, ორმოცი წლისა, ყველაფერს თავიდან აღმოაჩენ. ვერ დაკარგავ ლანგეს“.

ესაა, რაც მითხრა. იტალიურს კი არ ლაპარაკობს, ნება-ნება უქცევს კილოზე, რომელიც, ამ ბექობისავე ქვებივით იმდენად მქისეა, ენებისა და ოკეანეების ოცნლელს არც კი გაუკანრავს. ციცაბო ფერდზე ადის ნელა, გარინდებული: ბალობისას თუ მინახავს მოქანცული, ფიქრნაღებული გლახის ასეთი მზერა.

ოცი წელი დაეხეტებოდა ქვეყნად. მაშინ წავიდა, მე რომ ჯერ კიდევ ჩვილს, ატატებულს დამატარებდნენ ქალები. მოკვდაო, ითქვა. ქალებისაგან გამეგონა ესეც, არაკივით ჰყვებოდნენ ზოგჯერ; კაცებმა კი, უფრო გულზვიადებმა, დაივინყეს. ერთ ზამთარს, მამაჩემს, უკვე იმქვეყნად წასულს, ბარათი მოუვიდა, ზედ დაკრული დიდი, მომწვანო, ნავსადგურში გემებიანი საფოსტო მარკით. ბარაქიან რთველს გისურვებო. სახტად დარჩენილებს წამოჩიტულმა აგერ ბიჭმა ხარბად აუხსნა, რომ ბარათი ავსტრალიის სამხრეთით, წყნარ ოკეანეში, ზვიგენებით მძვინვარე, უფრო ლაფვარდი ზღვით გარშემორტყემულ, ტასმანიად წოდებული კუნძულიდან იყო. და დააყოლა, რომ უთუოდ, ბიძაშვილი მარგალიტებს აგროვებდა იქ. მერე საფოსტო მარკა აახია. ყველამ თავისი თქვა, მაგრამ ყველამ დაასკვნა, რომ თუ იქამდე არ მომკვდარიყო, მოკვდებოდა მალე. მერე კი ყველას მიავიწყდა და ხანმა განვლო.

ეჰ, რამოდენა დრო გავიდა მას მერე, რაც მეკობრეობანას ვთამაშობდი. ვითომ მალაელი. უკანასკნელად, საფათურაკო ადგილას რომ ჩავეშვი წყალში და თამაშ-თამაშ, ამხანაგს ხეზე ადევნებულმა, ლანა-ლუნა რომ ავუყენე კობტა ტოტებს, მერე თავიც რომ გავუტეხე მეტოქეს და კარგად მივიტყეპე, რამოდენა ცხოვრება გავიდა მას მერე. სხვა დღეები და სხვა თამაშები, სისხლის ამღვრევა სხვა, უფრო ცბიერ მეტოქესთან: ფიქრები, ოცნებები. ქალაქმა უამრავი შიში მასწავლა: ბრბოსა თუ ქუჩას, ზოგჯერ კი ფიქრს, ვინმეს სახეზე ამოკითხულს, ძრწოლა მოუგვრია. ახლაც თვალეში მიდგას ლამპიონების გამკილავი, ათასი ფეხით ნაბაკუნები შუქი ქვაფენილზე.

ჩემი ბიძაშვილი, გოლიათი, ომი რომ დამთავრდა, დაბრუნდა. ცოტანი ბრუნდებოდნენ მაშინ. თანაც ფული ჰქონდა. სანათესაო ჩურჩულებდა, აგერაც ვნახავთ, დიდი-დიდი ერთ წელნადში, მთლიანად თუ არ დაამღეროს და ისევ უკან არ გაიქცესო. მაგათი საშველი არ იქნება და ბოლო ესააო.

ჩემს ბიძაშვილს თითქოს ნაკვეთი აქვს სახე. მინის ნაკვეთი იყიდა სოფელში და ზედ ცემენტის გარაჟი წამოჭიმა, წინ ბენზინის ჩამოსასხმელი ალისფერი რეზერვუარით, ხიდზე კი, მოხვეულში, კარგა მოდილო სარეკლამო აბრით. მერე მექანიკოსი დასვა შიგ, ფულის მიმღებად, თვითონ კი მთელ ლანგეს მოივლიდა ხოლმე თამბაქოს ბოლში გახვეული. ამასობაში დაქორწინდა კიდევ სოფელში. უცხოელივით გაკნაჭული და ქერა გოგო ითხოვა ერთი, თავის დროზე რომ მრავლად ენახა ქვეყნად, ისეთი. მაგრამ მაინც, სულ მუდამ ცალად იარებოდა. თეთრებჩაცმული, ზურგზე ხელებდანყობილი და გარუჯული, დილაობით ბაზრებს მიაშურებდა და არხეინსახიანი ვაჭრობდა იქ. ცხენებს. მერე ამიხსნა, როცა საქმე დაეცარა, რომ ჩანაფიქრად ჰქონდა ხეობისათვის ყველა პირუტყვის მოცილება და ხალხის იძულება, მანქანები ეყიდათ მისგან. „მაგრამ ყველაზე დიდი პირუტყვი გამოვდექი მე, ამის მოფიქრალი. უნდა მცოდნოდა, რომ აქ ხარები და ადამიანები ერთი ჯურისაა“.


ნახევარ საათზე მეტია უკვე, რაც მოვდივართ. თხემს მოვადექით, ქარის შხუილი და სტვენა მატულობს ირგვლივ. ჩემი ბიძაშვილი ჩერდება უეცრად და ბრუნდება ჩემკენ: „წელს ფირნიშს ასე წავანერ: — სანტო-სტეფანო<sup>2</sup> მუდამ პირველი იყო ბელბოს ხეობის ზემებზე — და იქ, კანელიში<sup>3</sup>, რაც უნდათ, ის თქვან“. და ისევ აღმართს უბრუნდება. მინისა და ქარის სურნელი გვეხვევა ბნელში, თითო-ოროლა შუქი შორს: სახლები, ავტომობილები, რომელთა ხმა ძლივს აღწევს; და ვფიქრობ, რა ძალამ მომიყვანა ეს კაცი აქ, ზღვას რომ გამოგლიჯა, შორეულ მინებს, დუმილს, რომელიც უთავბოლოა. ჩემი ბიძაშვილი არ ჰყვება მოგზაურობებზე. მოჭრით ამბობს ხოლმე, რომ ნამყოფია აქ თუ იქ და თავის ძრავა-მანქანებზე ფიქრობს.

ერთი ზმანება ჩარჩენია ძარღვებში მხოლოდ: ერთხელ, ჰოლანდიურ თევზსაჭერ დოგერზე ცეცხლფარეშობისას ვეშაპს გადააჰყრია და უნახავს, როგორ ფრენდნენ მზეში მძიმე ჭვილთები, სისხლის ნაქაფში როგორ სხლტებოდნენ ვეშაპები, ახსოვს დევნა, მათი ანეული კუდი და ბრძოლა ბარჯებთან. მაგრამ იშვიათად თუ ახსენებს ამას.

თუმცა, თუ ვეტყვი, რომ იმ ბედნიერ კაცთაგანია, მზის ამოსვლას დედამიწის ყველაზე ლამაზ კუნძულებზე რომ შესწრებია, ღიმილით მოაგონდება და მეტყვის, რომ კარგა ხნის დღე იყო მათთვის უკვე მზის ამოსვლისას.

<sup>1</sup> ლანგე — მთიანი მხარე პიემონტის რეგიონში, ჩრდ. იტალიაში; აერთიანებს ასტისა და კუნეოს პროვინციებს; <sup>2</sup> სანტო-სტეფანო (ბელბო) — დაბა მდ. ბელბოს პირას, კუნეოს პროვინციაში (პიემონტი); <sup>3</sup> კანელი — ქალაქი ასტის პროვინციაში (პიემონტი).

თარგმნა მაია ღონაძე



ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940  
9 772346 794004